

1960
ეროვნული ბიბლიოთეკა



ამასწინათ თბილისში სტუმრად იყო გვინეის რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციის მუშაკთა დელეგაცია. სურათზე დელეგაციის წევრი ბ ი ნ ტ უ  მ ა კ ა ლ ო.

ფოტო დ. იაკობაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში

ყვავილების დედოფალი
სადაც დაიბადა გოგებაშვილი
ვარსკვლავები უცინიან რამზეს
ფრთხილად შენს წინ ადამიანია
დროს ეჯიბრება
დედა თუ თანახმა იქნება
მეფია და კაფო
ფსიქიატრი
ჯუნგლების ქალიშვილი
ჩვენ გვწერენ



იაკობ გოგებაშვილი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი
ოქტომბერი № 10

# საბჭოთა ქალი

გამოცემის მეოთხე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყვავილების დედოფალი

სკამძელზე მოხუცი იჯდა. თბილი ტალმა სკამის ზურგზე გადაედო, ჯოხი იქვე მიეყუდებინა, თვალები დაეხუჭა და რაღაცაზე ფიქრობდა. მხოლოდ დრო და დრო ახელდა თვალებს, მოავლებდა ნაძვითა და ფიჭვით დაფარულ გორაკებს და ისევ დახუჭავდა.

— დედიკო, იქ წავიდეთ, სადაც გუშინ ვიყავით. დედიკო, იქ კარგია! — ჩაესმა მოხუცს, თვალები ახილა და იქითკენ მიიხედა, საიდანაც ეს სიმივით წკრიალა ხმა მოესმა. აღმართზე გოგონამ ამოირბინა, მაგრამ მოხუცი რომ დაინახა, შედგა, მერე ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— დიდი ხანია აქა ხართ? – ჰკითხა საქმიანად. მოხუცმა გაიღიმა.

— დიახ, პატარა ქალბატონო!

— მე ქალბატონი არა ვარ, მე იამზე ვარ!

— ოო... — გაიცინა მოხუცმა, — ძალიან ლამაზი სახელი გქონია, ია და მზე ერთად. ია თავისი სურნელებითა და სინაზით გვატკბობს, მზე თავისი სხივებით გვათბობს. შენ იასაც ჰგევხარ და მზესაც, იასავით ნაზი ხარ და მზესავით ნათელი. ოქროსფერი კულულები კი მზის სხივებს გიგავს. — და თავზე ხელი გადაუსვა გოგონას.

— ეს ჯოხი თქვენია? — თითით შეეხო გოგონა ჯოხის მოვერცხლილ თავს.

— დიახ, ჩემო კარგო იამზე!

— ძალიან ლამაზი ჯოხია, ჩემს პაპას კი ასეთი ჯოხი არა აქვს, ხვალაც აქ იქნებით, პაპა?

— დიახ, ჩემო კარგო იამზე!

— კარგია, თორემ დედა ამბობს: ხალხი არ არის და ძალიან მოწყენილობააო.

— შენ ძალიან გიყვარს ხალხი? — უღიმოდა მოხუცი.

— მე ყვავილები მიყვარს. იცით, ისინი იქ, შორს, ტყეში ცხოვრობენ. დედამ მარტო ერთხელ წამიყვანა...

— ყვავილები შენსავით კარგები არიან!

— მოდი, დავკრიფოთ! — შეეხვეწა გოგონა. — დედას ვეტყვი და წავიდეთ!

— კარგი, ჩემო კარგო იამზე, კარგი!

და გოგონამ აღმართი ჩაირბინა.

— დედა, დედიკო! — კვლავ გაისმა გოგონას წკრიალა ხმა. — მე და პაპამ ყვავილები უნდა დავკრიფოთ.

დედა დაფიქრდა. ნეტა, ვინ არის ის მოხუცი, ასე ჩქარა რომ დაიმეგობრა მისი გოგონა. გაიხედა, მაგრამ მოხუცი ზურგით იჯდა. მერე წამოდგა, ტანსაცმელი შეისწორა, საზაფხულო ტალმა მკლავზე გადაიკიდა და ჯოხს ხელი წაატანა. გოგონამ ისევ აირბინა აღმართი და შეეშველა.

— პაპა, ამას მე წამოვიღებ! — იამზემ არ იცოდა, რომ მოხუცი ჯოხს სიარულში ხმარობდა...

გაზაფხული იწურებოდა. წაღვერს ჯერ მოაგარაკენი არ სწვეოდნენ. ტყეში ყველაფერი ხელუხლებელი და სუფთა იყო. მიწა ხასხასა ბალახითა და მთის ყვავილებით იყო მოფენილი.

გოგონას მაგრად ჩაევლო ხელი მოხუცისათვის და ეტიკტიკებოდა.

— პაპა, აი აქ ბევრი ყვავილებია, რა კარგებია! ჯოხი აქ დავდოთ, აი აქ! — და ხეზე მიაყუდა.

— ჰო, კარგია, ტალმაც აქვე ჩამოვკიდოთ! — დაეთანხმა მოხუცი. მერე მოწყვიტა ერთი ყვავილი და იამზეს აჩვენა.

— იცი, ამ ყვავილს რა ჰქვია?

გოგონამ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— ეს ყოჩივარდაა! — სთქვა მოხუცმა და იამზეს მიაწოდა.

მოსწყვეტდა ყვავილს, მისცემდა გოგონას და უამბობდა რაიმეს ამ ყვავილზე...

ბევრი ყვავილები დაჰკრიფეს. დაბრუნდნენ და სკამზე მოიკალათეს. მოხუცმა გოგონას ყვავილებისაგან გვირგვინი დაუწნა და თავზე დაადგა.

იამზე თავზე ხელს ივლებდა და კისკისებდა. მოხუცი ღიმილით შეჰყურებდა გახარებულ გოგონას.

— ახლა კი მართლა ყვავილების დედოფალს გევხარ!

— პაპა, რა არის ყვავილების დედოფალი?

მოხუცმა უამბო ერთი კეთილი გოგონას შესახებ, რომელსაც ყვავილები უყვარდა, უფრთხილდებოდა და უვლიდა. ამიტომ ყვავილებმა თავის დედოფლად აირჩიეს. მოხუცმა შეატყო, გოგონა გულმოდგინედ უსმენდა და ჰკითხა:

— მოთხრობები გიყვარს?

— მიყვარს! — თავის დაქნევით უპასუხა გოგონამ, — მე წიგნებიც მაქვს. პაპამ მიყიდა. მე გაჩვენებთ, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარს.

— როდის მაჩვენებ?

— ხვალ!..

მზე მთებს მოეფარა. ნიავმა ჩაუქროლა ნაძვებს და ერთბაშად აცივდა. მოხუცმა ტალმა გადაიცვა.

— იამზე! — გაისმა დედის ძახილი.

— მოვდივარ, დედიკო, ყვავილებიც მაქვს და გვირგვინიც, ყვავილების დედოფალი ვარ! — გოგონა დაღმართზე სირბილით დაეშვა.

მოხუცი ნელი ნაბიჯით გაჰყვა ბილიკს.

* * *

— იქ არის დედიკო, იქ!.. — შესძახა გოგონამ დედას. ხელი გაუშვა, წიგნი გულზე მიიხუტა და პატარა აღმართი სულმოუთქმელად აირბინა.

— აი, მოვიტანე! — შესძახა იამზემ და მოხუცს წიგნი გაუწოდა.

— ოოო! დილა მშვიდობისა, ყვავილების დედოფალო! აბა ვნახოთ, როგორი მოთხრობები მოგწონს, ვისი წიგნი გიყვარს, ჩემო იავ და მზევ!

მოხუცმა წიგნი გამოართვა, დახედა, ბავშვივით გაწითლდა და ენის ბორძიკით წაიკითხა ავტორის გვარი, სახელი და წიგნის სახელწოდება — «იაკობ გოგებაშვილი». «იავნანამ რა ჰქმნა?»

— იაკობ გოგებაშვილი ძალიან კეთილიაო, პაპამ მითხრა, ჩვენ ერთად ვსწავლობდითო! — ჩაიტიკტიკა გოგონამ.

ამასობაში გოგონას დედა და მისი მეგობარი ქალიც ამოვიდნენ აღმართზე.

— ბატონო იაკობ, თქვენ ბრძანდებით? გამარჯობათ! — მიეგება იამზეს დედა, — არ გამიკვირდა! აბა ვინ მოინადირებდა ჩემ მიუკარებელ გოგონას, თუ არა ბავშვების გულის მესაიდუმლე!

— ააა! ეს ყვავილების დედოფალი თქვენი შვილია? სასიამოვნოა, სასიამოვნო, — იაკობმა ქალებს ხელი ჩამოართვა. გაოცებული იამზე ხან დედას შეჰყურებდა და ხან იაკობ გოგებაშვილს.

მერე იამზემ მოხუცის მარჯვენა ხელს თავისი პაწაწინა თითები ჩასჭიდა და მუდარით უთხრა:

— გეხვეწებით — წიგნში ყვავილების დედოფალზეც დასწერეთ...

**ქეთევან ხაჩიაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადაც დაიბადა გოგებაშვილი



იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი

ფოტოები შ. კუკულავასი

გზატკეცილზე ერთმანეთში ირევა მანქანა, მზე და მტვერი... ყვითელი, რუხი, ოქროსფერი ქართლის მინდვრები და...

ვარიანი...

ასეთი არ გვეგონა.,.

«ვარიანი, ვალიანი,

უტყეო და ქარიანი»...

ეს იწერებოდა ძალიან დიდი ხნის წინ, როცა ვარიანმა სიღარიბე, ჭაობი, ქარი და ვალი იცოდა მხოლოდ... ძალიან დიდი ხნის წინ იწერებოდა იაკობის ეს სიტყვებიც:

„პატარაა და ღარიბი ვარიანი. მაგრამ მე კი ეს სოფელი მიყვარს იმის გამო, რო, იქ დავიბადე, იქ ვიხილე სინათლე მზისა იქ გავატარე ბედნიერი დღეები ჩემი ბავშვობისა... იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიყვარე მშობლიური ხალხი»...

მანქანა ივაკებს და დამფრთხალი გაგირბიან ორღობეები, ორსართულიანი ქვითკირის სახლები, ვაშლის, ალვის ხეები... ასეთი არ გვეგონა ვარიანი... თვალით რაღაცას ეძებ, გინდა თვითონ იცნო გოგებაშვილის სახლი...

პირველად მუზეუმში შედიხართ მაინც... ეს ყოფილი სკოლის შენობაა... უფრო ადრე სკოლა იაკობის სახლში ყოფილა...

მუზეუმიდან დიდხანს ვერ გამოდიხართ..

გიჩვენებენ იაკობის ნივთებს: საწოლს, მაგიდას, კარადას, მოქარგულ ბალიშებს, ხალიჩას... წიგნებს, ალბომებს, ხელთნაწერებს... ამათ იაკობ გოგებაშვილის ხელი შეხებია... არ გვჯერა რატომღაც, ისეთი ჩვეულებრივია ეს ნივთები...

მუზეუმის ეზოში წყაროა, ცივი და ანკარა... ეს წყარო მაშინაც ყოფილა, ოღონდ კალაპოტი გაუკეთებიათ ახლა, ქვემოთ ჭაობებს აჩენდა და იმიტომ... ფშანებში თევზაობდა პატარა ბიჭი—იაკობი... ყოველდღე აივლიდა აქ წოწოლოკინათი და თუნგით ხელში და ოცნებობდა დაეჭირა ვარიანის წყლის ყველაზე დიდი კალმახი...

წყაროს იქეთა მხრიდან ეკლესია ფარგლავს, კვირაობით აქ იკრიბებოდა ვარიანის მთელი მრევლი...

— ნაუ, ნაუ... ნა... უ...—ჰაერში დაეკარგებოდა რაღაც პატარა იაკობს... ზემოთ ხომ არ აფრინდა ვარდისფერ ცაში!

ეკლესიის გვერდით მათი სახლი იყო. სახლი ახლაც იქ არის. ჩუქურთმებიანი აივნით და გრძელი კიბეებით. ზედა სართულში ვარიანის პირველი სკოლა მოაწყო იაკობმა 1905 წელს. ასწავლიდა იაკობის

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ამათ კარგად ახსოვთ იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სამუშაო მაგიდა

ძმისშვილი ალექსანდრე. ახლა ამ სახლში ალექსანდრეს შვილები ცხოვრობენ...

სკოლის ისტორია ამ სოფელში გოგებაშვილებთანაა დაკავშირებული. 1912 წლიდან სკოლა იაკობის ბიძაშვილის შალვა გოგებაშვილის სახლში გადაუტანიათ, სადაც ახლა მუზეუმია... მერე კოლმეურნეობას აუგია სკოლის ახალი შენობა. სკოლა იაკობ გოგებაშვილის სახელობისაა. მისი სახელობისაა ვარიანში მუზეუმიც, კოლმეურნეობაც.

სოფელს 30-მდე მასწავლებელი ჰყავს, 300-ზე მეტი მოსწავლე... მდიდარი ბიბლიოთეკა... დაუსწრებლად უმაღლესში სწავლობს ბევრი კოლმეურნე.

ასეთია ახლა ვარიანი...

როგორი იყო ძველად, ზოგიერთებს ახსოვთ მხოლოდ...

ივანე მეტრეველს იაკობიც ახსოვს... 7-8 წლისა უკვე მოწიფულ იაკობს თევზაობაში ეხმარებოდა.

ივანეს იაკობის სკოლაში უსწავლია, მასთან ერთად სწავლობდა ზაალ მეგრელიშვილიც, ოღონდ იაკობს არ იცნობდა პირადად... ვარიანში პირველებმა მათ აიღეს ხელში «ბუნების კარი»... ასე ამბობენ და ეამაყებათ მოხუცებს.

წელს 30 პატარა ვარიანელმა პირველად გადაშალა «დედა-ენა» და ბევრი, ძალიან ბევრი წლების მერე მოაგონდებათ ალბათ, რომ იმ შემოდგომაზე, როცა მათ პირველად გაიგეს ქართული ანბანის საიდუმლოება, საქართველო იაკობ გოგებაშვილის დაბადებას დღესასწაულობდა.

ციხანა ჟორჟოლიანი

წელს პირველად აიღო ხელში დედაენა



# ვარსკვლავები ეძახიან რამზეს

მერე გოგონას სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს ღამე. ლელვის ტოტზე გამობმული ახალი მთვარე, ისლით დახურული სამზადი და სამზადის წინ საარაყე ქვაბის შიშინი. ასეთი ღამეები ბევრი იყო ლეხაინდრაოში, ბევრი იყო ასეთი ღამისთევა არყის ხდისას. ზღაპრები და გამოცანები მუხის ძირში, ქინკები და ოჩოკოჩები.

კოინდარზე წრეში მოიფთხნიდნენ ბავშვები, ზოგიც გულაღმა წამოწვებოდა, ზღაპრებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — ვინ უფრო საშიშს მოუყვებოდა. შუა ზღაპარში, სუნთქვა რომ შეეკვროდა შიშისაგან, რამზე უჩუმრად გამოეცლებოდა წრეს, ბებიასთან მიიპარებოდა, მუხის ჯორკოზე ჩამოჯდებოდა და კალთაში ჩაუდებდა თავს.

— არ შეგეშინდეს, ნანა. ოჩოკოჩი ზღაპარში მოგონილია, სადაა ოჩოკოჩი ქვეყანაზე სანა...

ღამე ბნელი იყო და მაინც გამჭვირვალე. ღამე ალერსიანად ხვევდა თავის ნაზ, თბილ მკლავებს გოგონას. ასეთი ღამეები ხშირად იცის სამეგრელოში აგვისტოს ბოლოს.

— ცირა, ოუ, ცირა,—ყვიროდა ღამეში ქალი. წრეში წამოდგებოდა ვინმე, წელათრეული მიდიოდა დედის ძახილზე.

— ბარდღუ, ბარდღუ...

— ლამარა, ლამარა...

ნელ-ნელა იკრიფებოდნენ ბავშვები, დარჩენილები უფრო ახლოს მიიწევდნენ ერთმანეთთან, წრეს ამჭიდროვებდნენ—ასე აღარ შეგეშინდება. მერე ისინიც თითო-თითოდ ტოვებდნენ მუხის ძირს და ეზო ცარიელდებოდა.

— რამზე, დაწექი, ნანა,—მტკაველისოდენა გაფშეკილ ნაწნავებს ხელს უთათუნებდა ბებია.

— ცოტა კიდევ, არ მეძინება, ბები,—ხვეწნით ყელს უწევდა ბავშვი.—შენ კაი ზღაპარი იცი, შენ მომიყევი, ბებია...

შორიახლოს ტკარცალებდა ცეცხლი, შავი, დიდი ლანდი ფათურობდა ცეცხლთან.

— კიდო რა მოგიყვე... ავაი, აგერ ვარსკვლავი მოწყდა, ვინცხა მოკვდება, უბედური, ამაღამ, ვინცხა მოკვდება, ნანა...

ბავშვი ცას მიშტერებია. ცა არის ძალიან მაღალი და უსასრულო, მთლად მოჭედილი ოქროს ვარსკვლავებით. გოგონა წვრილ მკლავებს ხვევს შუა ცეცხლთან გარუჯულ ფეხებს, ნიკაპს მუხლებს ადებს და ფიქრობს.

— რატომ მოკვდება, ბები? ცას რატომ წყდება ვარსკვლავი, ბები? ბები, რა არის ცა?

— ცა, ნანა, შავი გუმბათიაო, ასე ამბობენ. ზედ ოქროს ლურსმნებს აჭედებს ღმერთი. რამდენი ადამიანიც ქვეყანაზე დაიარება, იმდენ ოქროს ლურსმანს აჭედებს, თურმე, ღმერთი. იმ ლურსმნებს ვარსკვლავებს ვეძახით ჩვენ. მოწყდება ვარსკვლავი და—მოკვდება კაცი. ასე ამბობდა, თურმე, ძველი ხალხი, თორემ მე რა ვიცი, ნანა...

ვარსკვლავები კი ციმციმებენ მაღლა, ვარსკვლავები თავისკენ, ზევით ეძახიან გოგონას. აგე, ის ერთი, წითელ თვალს უპაჭუნებს— მოდიო, მოდიო. გოგონა დგება და ფეხის წვერებზე იწევა, ხელებს ზევით წევს:

— რომელია, ნეტა, ჩემი ვარსკვლავი, ბები...

ასე შემოვიდა ვარსკვლავთა სამყარო—საიდუმლო, თავბრუდამხვევი — მის ცხოვრებაში.

დაისზე აინთებოდა ცაზე ერთი კაშკაშა ვარსკვლავი, მერე გუნდ-გუნდად გამოვიდოდნენ სხვებიც. ცის ერთი ბოლოდან მეორემდე გადაიდებოდა მარგალიტის შუქის მკრთალი დიდი რკალი.

— რა ხიდია, მამიკო, ცაზე გადებული,— კითხულობდა ბავშვი.

— ირმის ნახტომიო,—ეუბნებოდა მამა.

— ბევრია დათვლა მასწავლეო,—ჩააცივდებოდა რამზე,—რამდენი ვარსკვლავია, დავითვალოო.

— ვარსკვლავის დათვლა ვის გაუგია,— დატუქსავდა ბებია.— მეჭეჭებით გაგევსება ხელები. მერე სკოლაში ვინ მიგილებსო მეჭეჭიანი ხელებით, ნანა...

... მიიწურა აგვისტო. პირველ სექტემბერს რამზეს ნეკის სისხო ნაწნავებზე ორი დიდი ბაფთი შეაბეს და სკოლაში წაიყვანეს. მერე ის მერხზე იჯდა და გულმოდგინედ გამოჰყავდა პირველი ციფრები და პირველი ასოები.

... სკოლის წლები, დაუვიწყარი, საყვარელი წლები... ზარის შემდეგ დაცარიელებული ეზო, ჩუმი დერეფნები. შავ დაფასთან—შენი ამხანაგი ცარცით ხელში. მგონი, უჭირს, გინდა მიეშველო, მაგრამ მასწავლებელი იხედება აქეთ.

შესვენებაზე გვერდზე გაგყავს: დღეს მოდი ჩემთან, მე აგიხსნი, მოდი.

ის თავს გიქნევს და ერხევა შუბლზე ჯიუტად ჩამოშლილი შავი კულულები...

ჩვენ ყველას გაგვივლია ეს წლები და ყველამ ვიცით, რა არის მერხთან განშორების ტკივილი.

... პროფესიის არჩევაზე რამზე არც დაფიქრებულა—მათემატიკა იყო სკოლაში მისი საყვარელი საგანი.

უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე იმ წელიწადს უფრო მეტი ქალიშვილები სწავლობდნენ. იმიტომ, რომ ომი დაატყდა იმ წელიწადს ქვეყანას. ვაჟები ცოტანი იყვნენ და წლიდან წლამდე მცირდებოდა იმათი რიცხვი. არ გინახავთ იმდროინდელი გამოსაშვები სურათები? ოცი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, ან ორი ვაჟი, ან სულ არცერთი.

მძიმე იყო სტუდენტობის წლები: ლამფის შუქზე მომზადებული სასესიო საგნები, სუსხიან ქარში ტრამვაის გაჩერებასთან ლოდინი, გაყინული აუდიტორია.

მძიმე იყო სტუდენტობის წლები, უფრო კი— პირველი ორი, განსაკუთრებით იმ დღემდე, როცა აუდიტორიაში შემოვიდა ადამიანი, რომელმაც თავისი პირველი ლექცია დაიწყო ასე: «სამყარო არის უსასრულო და დაუსაბამო».

... და დარბაზში შემოვიდა შორეული სივრცეების რომანტიკა.

პროფესორ ევგენი ხარაძის იმ პირველ ლექციას ახლაც მადლობის გრძნობით იგონებს რამზე. იმიტომ, რომ შემდეგ ცხოვრება გახდა უზომოდ საინტერესო. წიგნები, წიგნები... ახლა ის ღამეს წიგნებზე ათენებდა და დილით ასტრონომიის ლექციაზე ისე მიიჩქაროდა, როგორც ზეიმზე.

მერე მეორე კორპუსს შეეჩვია: არის იქ პატარა კოშკი პატარა ტელესკოპით. მეოთხე კურსის სტუდენტმა მუშაობაც დაიწყო ასტრონომიის კაბინეტში. იმ ზაფხულს რამზე აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში გაემგზავრა სადიპლომო თემაზე სამუშაოდ. ერთი წლის შემდეგ კი კვლავ დაბრუნდა აბასთუმანში, უკვე უმცროს მეცნიერ-მუშაკად, უკვე სამუდამოდ.

მყუდროდ იდგა ობსერვატორიის თეთრი შენობა ყანობილის მთაზე. შუადღისას ტანზე სიფიცხე ეკიდებოდათ ნაძვებს და ფიჭვებს და ტყეში იდგა სიჩუმე და თავბრუდამხვევი სუნი.

ლამე კი გუგუნით იხსნებოდა კოშკის გუმბათი და ქალიშვილი მარტო რჩებოდა ვარსკვლავიანი უკიდეგანო სივრცის წინაშე. ის იჯდა ტელესკოპთან და იღებდა ცის სხვადასხვა უბნებს. იჯდა, ვიდრე ცა არ გაფითრდებოდა, ვიდრე არ გაუჩინარდებოდნენ წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და მხოლოდ კაშკაშა მნათობები დარჩებოდნენ ცის კამარაზე. მაშინ რამზე ტოვებდა კოშკს და ლაბორატორიაში მიჰქონდა გასამჟღავნებელი ფირფიტები. მერე სურათზე მიღებულ ვარსკვლავთა სპექტრებს იკვლევდა...





ასე გავიდა თითქმის ორი წელი.

... იმ საღამოს ცა ღრუბლიანი იყო, დაკვირვებისთვის არ ვარგოდა. რამზე მეგობრებთან ერთად აბასთუმანში ჩავიდა. უკან რომ ბრუნდებოდნენ, ცა იწმინდებოდა და როცა ობსერვატორიას მოაღწიეს ისე მოკრიალდა რომ ღრუბლის ნატამალიც არ ჩანდა. რამზე დაღლილი იყო, მაგრამ კოშკში მაინც ავიდა, კასეტი ფირფიტით დატენა და ტელესკოპის ფოკუსში დადგა. მერე ტელესკოპი გველის თანავარსკვლავედისკენ მიმართა.

დილით, როცა ქალიშვილი ლაბორატორიაში ფირფიტას ათვალიერებდა, მისი ყურადღება ერთერთი ვარსკვლავის სპექტრმა მიიპყრო. ის არ ჰგავდა სხვებს. ევგენი ხარაძე ამ დროს ლაბორატორიაში იყო. სპექტრი მანაც შენიშნა და დაინტერესდა. მერე მათ ფირფიტა ვარსკვლავთა რუკას შეადარეს. ახალი სპექტრის ადგილას ვარსკვლავთა რუკაზე არაფერი არ აღმოჩნდა. ეგებ, ფირფიტა იყო დაზიანებული?

მეორე ღამეს ისევ გადაიღეს გველის თანავარსკვლავედი. გათენებას ვინღა დაელოდებოდა, ღამითვე გაამჟღავნეს ფირფიტა.

და ფირფიტაზე ისევ აისახა ახალი სპექტრი. ეჭვი აღარ იყო. რამზეს საფეთქლები გაუხურდა, თავბრუ დაესხა: ახალი ვარსკვლავი!

ევგენი ხარაძე იღიმებოდა:

— მომილოცავს, რამზე!

და იმავე დღეს ასტრონომიულ ცირკულარს და საერთაშორისო აღმოჩენათა ბიუროს ეცნობა, რომ აღმოჩენილია ახალი ვარსკვლავი და ახალგაზრდა ასტრონომი რამზე ბართაია გაიცნო მსოფლიომ.

უძველესი დროიდან აკვირდებიან ადამიანები ვარსკვლავიან ცას. ძველ სწავლულებს შესანიშნავად ცოდნიათ ვარსკვლავთ განლაგება ცის კამარაზე. ახლა ხომ ობსერვატორიებით არის დაფარული მთელი დედამიწის ზურგი და ცისკენ არის მიმართული უამრავი დიდი და პატარა ტელესკოპი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კაცობრიობას დღემდე მხოლოდ ასამდე ახალი ვარსკვლავი აღმოუჩენია.

არ იფიქროთ, რომ ახალი ვარსკვლავი არაფრისგან წარმოიშობა. ეს ვარსკვლავი წინათაც არსებობდა, მაგრამ იმდენად ჯუჯა იყო, რომ ძლიერ ტელესკოპშიაც არ ჩანდა. უეცრად ის «აინთება». ვარსკვლავი სწრაფად იწყებს გაფართოებას, მისი სისქე წამში ორი-სამი ათასი კილომეტრით მატულობს, რამდენიმე თვეში ახალი ვარსკვლავის სისქე რამდენიმე ასეულ მილიარდ კილომეტრს აღწევს და ასტრონომებისთვის ხილული ხდება.

ამ დროს ვარსკვლავის შიგა და გარე ფენებში ხდება გრანდიოზული და სწრაფი ფიზიკური ცვლილებები და მასზე დაკვირვება საშუალებას აძლევს ასტრონომებს ამოიცნონ საერთოდ ვარსკვლავთა ფიზიკური ბუნება და მათი განვითარების გზები.

ბართაიას ვარსკვლავს უკვირდებოდნენ მსოფლიოს ყველა ობსერვატორიაში, და, რა თქმა უნდა, რამზე იყო ერთი პირველთაგანი, ვინც მუშაობდა ახლადაღმოჩენილი ვარსკვლავის ატმოსფეროში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესწავლაზე. ამ საკითხს მიეძღვნა რამზეს საკანდიდატო დისერტაცია «მანძილები ვარსკვლავებამდე», რომელიც მან ბრწყინვალედ დაიცვა მოსკოვში.

შორი არის მანძილები ვარსკვლავებამდე, მაგრამ არც ისე შორი, ადამიანის გონებამ რომ ვერ გამოთვალოს. და ადამიანები თავისი ქალაქის, მეგობრების, ნათესავებისგან დაშორებით ტეხავენ ღამეებს, იღლიან თვალებს, რომ მერე უშორეს მოგზაურობაში გაცურდნენ კოსმოსური ხომალდები.

ასეთები არიან რამზეს მეგობრები, ასეთია რამზე.

მას ლამაზი ბიოგრაფია აქვს. ამ ამბავზე დაიწერებოდა ლამაზი ზღაპარი: გოგონა ეძებდა თავის ვარსკვლავს და იპოვნა... ოცი წლის შემდეგ.

მაგრამ ეს არ არის ზღაპარი და თუ ოდესმე მოხვდებით აბასთუმანში, თქვენც შეგიძლიათ ნახოთ ეს ქალი. ქალი, რომლის სახელი დაერქვა ვარსკვლავს.

ყოველ საღამოს იმ ახალ სახლიდან, თეთრად რომ მოჩანს ობსერვატორიის შენობის იქით, მოასფალტებულ გზას დაჰყვება ახალგაზრდა ქალი, წაბლისფერთმიანი, მაღალი შუბლით და მოღლილი თვალებით. აქეთა მხრიდან ხუთიოდე წლის გოგონა მოჰყვება, იქით—მეორე, სამი წლის; ხელში მესამე ჰყავს ატატებული—ბიჭუნა ჯერ ორისაც არ იქნება. ნაძვების ხეივანს გამოივლის და თეთრ სკამძელზე ჩამოჯდება. აქეთ ქეთინო მოუჯდება, იქით—ნინო, მუხლებზე—ბიძინა. ასე ვნახეთ ჩვენ პირველად რამზე ბართაია.

— სამივე თქვენი ვარსკვლავია, რამზე?— ვკითხეთ მაშინ.

მან გაიცინა და დაღლილობა უცებ მოშორდა სახეს...

ის ყოველ მზის ჩასვლისას გამოდის ასე და ზის, ვიდრე ტყე არ ჩამუქდება და ბინდი კენწეროებისკენ არ აჰყვება ტანმაღალ ხეებს. საღამოვდება, ცა ლურჯდება და...

— რა ჰქვია, დედიკო, იმ ვარსკვლავს, მარტო რომ არის ცაზე?

რამზე შეკრთება და მიბრუნდება. ქეთინო იყურება ზევით. ნინო ჯერ ცას არ უყურებს,— მიწაზე იმდენია საინტერესო! აი, თუნდაც ის მწვანე მუხლუხა, სკამის ზურგზე რომ მიცოცავს. ბიძინა პაწაწინა მუშტს ლოღნის, თვალები ელულება. ქეთინო კი იყურება ცისკენ...

რამზე ხელს ხვევს მხარზე და უცებ ნათლად, ტკივილამდე ნათლად ხედავს პატარა გოგოს, მაღალი გამხდარი კანჭებით, სასაცილოდ გაფშეკილი ნაწნავებით და—ოქროსფრად მოჭედილ ცას მის ზემოთ. გოგონა ფეხის წვერებზე იწევს და ხელებს ზევით იშვერს—პატარა და სუსტი უშველებელი ცის ქვეშ...

რამზე თვალებზე ხელს ისვამს და დგება. მერე ყველანი ნელა მიდიან სახლისკენ. ბავშვებისთვის დღე დამთავრდა. მალე ყველასთვის დამთავრდება დღე. არ დამთავრდება მხოლოდ რამზესთვის და მისი მეგობრებისთვის—მათთვის დღე ხშირად იწყება ახლა.

ძნელი არის ასტრონომის ცხოვრება, მაგრამ რამზეს არასოდეს დაუჩივლია. იმიტომ, რომ თვითონ აირჩია ასეთი ხვედრი. იმიტომ, რომ მან ვერ შემოფარგლა მთელი სამყარო პატარა დედამიწით და თავისად გაიხადა სამყარო «უსასრულო და დაუსაბამო».

იმიტომ, რომ ვარსკვლავები ახლაც ეძახიან რამზეს, ახლაც პირდებიან რაღაც დიდი საიდუმლოს გამხელას და ყოველ ღამე, თუ ცას არ ფარავს ღრუბლების ჯარი, ახალგაზრდა ქალი გამოიხურავს სახლის კარებს, ადის კოშკში, სადაც მას ელოდება დიდი მენისკური ტელესკოპი და სადაც არაფერი არღვევს მყუდროებას, მხოლოდ ხანდახან ისმის მეზობელ კოშკთა თაღების ბრუნვის გუგუნი.

**ნანული ბარათაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲬᲐᲛᲝᲓᲘ, ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲕᲘᲡᲔᲘᲠᲜᲝᲗ!

წამოდი, მტკვარზე გავისეირნოთ,
გავყვეთ ტალღების აღმა დინებას,
და მე გიამბობ ლექსით, სიმღერით
თბილისის ახლად აღორძინებას.

გიამბობ, როგორ გაჩნდა ბაღები,
მტკვარი აკვანში როგორ იძინებს,
როგორ გაბმულა ხიდთა თაღები,
ზედ ვარსკვლავები როგორ
ციმციმებს.

როგორ იკმევა ვარდის სურნელი,
როგორ მოისმის ფოთოლთ შრიალი,
გაგანდო ჩემი გულის სურვილიც,
გაგიხდე ფიქრის თანაზიარი.

შენ ნავის ქიმზე დაჯექ მტრედივით
და მე ვიქნები შენი მენავე,
სანაპიროზე მდგარი ტოლები
ბედნიერები შემოგვხედავენ.

წამოდი, მტკვარზე გავისეირნოთ,
გავყვეთ ტალღების აღმა დინებას,
და მე გიმღერებ და მე გიამბობ
სამშობლო ქვეყნის აღორძინებას!

ᲐᲜᲓᲠᲝ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲔ

## ᲩᲘᲢᲝ ᲛᲖᲔᲬᲕᲘᲐ!

*ჩემი ბავშვური აღმაფრენა*
*გულს კვლავ ეწვია,*
*მე გზად ვიდოდი, შენ რად შეკრთი,*
*ჩიტო, მზეწვია.*
*მინდოდა ნიავს ხის ტოტები*
*გადაერწია,*
*დილის მზის სხივი*
*კვალ-კვალ მომდევდა,*
*ვერ დამეწია.*
*შენ მშვიდად იყავ,*
*არას გავნებ,*
*ჩიტო, მზეწვია!*

ᲪᲘᲠᲐ ᲑᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ, კოლმეურნე.

* * *

— ეჰე, ღრუბელო,
სულ ატირების
რად ეძებ მიზეზს!
ხედავ?
სხივები დამცინავად
პირისპირ გიმზერს.
მითხარი მაინც, შარიანო,
გულში რა გიძევს?

ᲔᲗᲔᲠ ᲯᲚᲐᲛᲐᲫᲔ



Ი. ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ



# ვანო და ფრინველები

ერთს პატარა ქალაქში სკოლა იყო გამართული. იმ სკოლაში სწავლობდა სოფლელი პატარა ვანო. ერთხელ ვანომ ღამის ძილში მეტად საამური სიზმარი ნახა: ვითომც დილით ადრე მიირბინა მდინარის ნაპირზე, რომელიც ქალაქს გვერდით ჩაუდიოდა, და პირის ბანა დაიწყო, უცებ დედა მოაგონდა და ძლიერ დაღონდა. თვალ ცრემლიანმა ყურება დაიწყო თავის სოფლისაკენ. ერთიც ვნახოთ, დაინახა იქიდან მფრინავი ჩიტები. ვანომ ჩიტებს შესძახა:

ჰე, ჩიტებო, ჩიორებო, მალხაზო და
ნაცარებო!
სად ყოფილხართ, რა გინახავთ, დედაჩემი არ გინახავთ?

ჩიტებმა მხიარულად ჩამოსჭყივლეს:

დედა შენი ამ დილაზედ ბანზედ იყო
გადმომდგარი
და ჭრელს წინდებს ვანოსათვის ქსოვდა ტკბილად მომღიმარი.

მერე მოფრინდა მერცხალი. ვანომ იმასაც შესძახა:

მერცხალო კუდ-მაკრატელა, მოჭიკჭიკე,
მონავარდე!
სად ჰყოფილხარ, დედა ჩემი არ გინახავს, თუ გიყვარდე?

მერცხალმა ალერსიანად ჩამოსჭიკჭიკა:

თქვენი სახლის ერთ კუთხეში ბუდე
მქონდა ანაშენი,
და ყოველთვის თვალ-წინ მედგა მხნე,
გამრჯელი დედა შენი.
ახლოხს რო უკერავდა ვანოს დიდი
სიამითა,
მე მაღლიდან დავმღეროდი, ვჭიკჭიკობდი ტკბილი ხმითა.

ბოლოს მოფრინდა ბულბული. ვანომ ამასაც შესძახა:

შენ, ბულბულო, მგალობელო, ქვეყნად
სწორი რომ არა გყავს,
სად ჰყოფილხარ, სიდან მოხვალ, დედა
ჩემი არ გინახავს?

ბულბულმა მშვენივრად ჩამოუსტვინა:

დედა შენი? როგორ არა! ბაღში ვნახე მე ამ ხანად,
ლოყა-წითელს ვაშლებს ჰკრეფდა ვანოსათვის გასაგზავნად.

ამ საამურმა სიზმარმა ისე ძალიან გაახარა ვანო, რომ გამოეღვიძა, გათენებულიყო კიდეც. ადგა საჩქაროდ, პირი დაიბანა, წიგნები ხელში აიღო და მხიარულად მიირბინა სკოლაში. ვანო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და დედისაგან მოელოდა ჭრელს წინდებსა, ლამაზ ახალოხსა და წითელ ვაშლებსა. თვითონაც სცდილობდა კარგად ესწავლა და საყვარელი დედა გაეხარებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრუხების ბრძოლა ქორთან



მხატვარი ს. მელიქიშვილი

ორი კრუხი გამოვიდა საქათმიდან და თან გამოიყოლა ოციოდე მოჩიტული წიწილა. გადაიარეს კალო და შეესივნენ ნაფუზარსა, სადაც საკენკი ბლომად ეგულებოდათ. მშვენიერი მზიანი დღე იდგა და კრუხ-წიწილები მხიარული კრიხინით და წივწივით ჰქექავდნენ მიწას, პოულობდნენ მარცვლებსა და ჭიაღუასა და სწრაფად გზავნიდნენ ჩინჩახვში.

უცებ ეს მყუდროება დაირღვა და ერთი ალიაქოთი ასტყდა. რა მოხდა? საიდანღაც გაჩნდა წყეული ქორი.

ამ ორს დედალს წინეთაც არა ერთხელ დასცემია ქორი და ისინი გულგახეთქილები გაქცეულან და დამალულან ან საქათმეში ან სხვა შენობაში. და ან რა უნდა ექნათ საწყლებსა? ქათამს არც მჭრელი ნისკარტი აქვს, არც ბასრი ბრჭყალები ასხია, არც ღონიერი ფრთების პატრონია. ერთი სიტყვით, საწყალი, სუსტი უიარაღო სულდგმულია. ქორს ახლაც იმედი ჰქონდა,—კრუხები გამექცევიან და მათ წიწილებს ღონივრად მივაძღებიო, მაგრამ ანგარიში გაუცრუვდა. წინეთ მარტონი ყოფილან ეს დედლები, ახლა კი თან თავისი საყვარელი წიწილები ჰყავდათ. ამიტომ კრუხები არამც თუ არ გაექცნენ ქორსა, მამაცურად წინ მოექცნენ წიწილებს, გაშალეს ფრთები, დაიგრძელეს კისერ-ნისკარტები და მოემზადნენ თავგანწირულის ომისათვის.

ქორმა დაუქროლა კრუხებსა და გაჩნდა ბრძოლა ღონიერისა უღონოებთან, იარაღიანისა უიარაღოებთან, მარჯვესი უხერხულებთან. ქორი სცემდა კრუხებს თავის წვეტიანს და ღონიერს ნისკარტსა, აგლეჯდა ხორცს ტანზე თავისი ბასრი ბრჭყალებით, თავისი ღონიერი ფრთების ცემით არეტიანებდა. არც ერთი ეს ვნება არ შეეძლოთ კრუხებს მიეყენებინათ მტრისათვის და არც სცდილობდნენ ამასა. სამაგიეროდ, საოცარი შეუცდომლობით მიხვდნენ სუსტს მხარეს ქორისასა და სწორედ ეს მხარე ამოიღეს მიზანში: კრუხებმა იგრძნეს, რომ ერთადერთი ასო ქორისა, რომლის ვნებაც მათ შეუძლიანთ თავისი სუსტი იარაღით, არის თვალები და თავის ნისკარტს მხოლოდ ამ თვალებში უმიზნებდნენ, ისეთი სიმარჯვით და დაჟინებით, რომ კაცს გააოცებდა.

ქორმა დაგლიჯა ერთი კრუხი და სიკვდილამდინ მიიყვანა: მაგრამ დაგლეჯილმა სწორედ უკანასკნელი წუთის წინეთ მოასწრო, ჩაჰკრა თავისი ნისკარტი ქორს შიგ შუა თვალში, ამოჩიჩქნა და შემდეგ უსულოდ დაეცა მიწაზე. ცალთვალა ქორი ახლა მივარდა მეორე კრუხსა, რომელმაც თავგანწირული ქომაგობით გაუადვილა თავის ამხანაგს თვალი ამოეჩიჩქნა მტრისათვის: ამასაც წყეულმა მტაცებელმა ტანი რამდენსამე ადგილას დააგლიჯა და დაუსისხლიანა. ბოლოს თავისი ბასრი ნისკარტი დაუმიზნა შიგ თავში, და თუ ჩაეკრა უთუოდ დაარეტიანებდა და მოჰკლავდა. მაგრამ სწორედ ამ დროს იხერხა კრუხმა და თავისი ნისკარტი ჩასცხო ქორს მეორე საღ თვალში, ამოუჩიჩქნა, სრულიად უსინათლო გახადა და ბოლო მოუღო ბრძოლასა.

საზარელს სანახავს წარმოადგენდა ბრძოლის ველი. ერთი კრუხი მოკლული ეგდო—და—მეორე სისხლისაგან იცლებოდა: არა ნაკლებ უბედურს მდგომარეობაში იყო ორივე თვალით დაბრმავებული ქორი, რომელიც საცოდავად ფარფატობდა და ხან აქ გადაივლიდა ყირამალა, ხან იქა.

მშვიდობით გადარჩენილი წიწილები ერთად მოგროვილიყვნენ, საცოდავი ხმით გაჰწიოდნენ და გლოვობდნენ თავიანთ თავდადებულს დედებსა, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს მათ და ამით დაუტოვეს ანდერძი, რომ მათაც თვისი ჩამომავლობა ჰყვარებოდათ თავდავიწყებული სიყვარულითა.



ფოტო შ. გოქაძის

# ფრთხილად, შენს წინ ადამიანია

ვერ იტყვი, რატომ ჩაგრჩა მეხსიერებაში სულ უბრალო სურათები და ფიქრი, რატომ გახსენდება ორმოცდაათი წლის წინანდელი ზაფხულის ღამე, სავსე მთვარე და ფართო აივანი. შუაღამისას შემთხვევით გაიღვიძე, ლოგინიდან წამოიწიე. ოთახის კარი ღიაა და აივანს მთვარის შუქი ადგას. წინ და უკან დადის აივანზე დედის ლანდი. ხელის თითები ერთმანეთში გადაუხლართავს, ნიკაპთან მიუტანია და ასე დადის დიდხანს. ასეთ ღამეებში ის ყოველთვის სადღაც შორს იყო... ის ფიქრობდა პატარა თამარის გონებისათვის შეუცნობელზე. დედა «წერდა» მაშინ. ვინ იცის, შეიძლება ასეთ ღამეებში იბადებოდა «ბედის ტრიალი» და «მოლიპულ გზაზე». დიდხანს უყურებდა გოგონა და მხოლოდ მაშინ დახუჭავდა თვალებს, როცა დედა ფრთხილად მიუახლოვდებოდა, სათითაოდ დახედავდა თავის ექვს შვილს...

დილით ყველაფერი ისევ ჩვეულებრივი იყო. ხოშტარიების ლამაზი სახლი გორში, ფართო შუქიანი ოთახები, პატარა ბაღჩა,—სამი ცამდე აზიდული ნაძვი და ვარდები, ძალიან ბევრი ვარდები. სახლის უკან დიდი ეზო, თუთის ხესთან—სათონე, ბოსელი და თვალებბრიალა «სარა»—ძროხას დიდი რქები ჰქონდა და თამარს ეშინოდა მისი. ეზოში დინჯად დადიოდნენ ბატები, «მეგრულა ქათმები». იყო კიდევ შავი ძაღლი «სანდო“—სახლში შემოსვლას ვერ ბედავდა, ყოველთვის კარის წინ იჯდა.

დედა ყველას ასწრებდა ფეხზე ადგომას და ყველას საქმე უჩნდებოდა უცებ. თამარი მიუახლოვდებოდა და შეხედავდა. სულ სხვანაირი იყო დღე დედა. რატომღაც მაინც ვერ ეკითხებოდა, რატომ იყო «ისეთი» წინა ღამით.

შუადღისას სახლში ისევ სიჩუმე ჩამოვარდებოდა ორი-სამი საათით. ამ დროს ყველამ იცოდა—მუშაობდა ანასტასია ერისთავი და შვილებიც არ ეკარებოდნენ მის ოთახს.

და მაინც ეს იყო წლები, რომლებიც შეუმჩნევლად მიდიან, წლები, როდესაც არ ფიქრობ ცხოვრების ბედუკუღმართობაზე, ალბათ იმიტომ, რომ ბავშვი ხარ ჯერ, როდესაც არ იცი, რატომ არ ცხოვრობს მამა შენთან, რატომაა გადახვეწილი საქართველოდან და წელიწადში მხოლოდ ორჯერ რატომ ჩამოდის.

ანასტასია და ბავშვები სადგურზე არ გადიოდნენ მის შესახვედრად. აივანზე იდგნენ და ელოდნენ გზაზე ეტლის გამოჩენას...

გაივლიდა შეხვედრის პირველი სიხარული და ცრემლი, მერე ამოვიდოდა მრგვალი მთვარე, ისევ დაადგებოდა აივანს მისი ნათელი და თამარი ახლა ხედავდა მოაჯირზე დაყრდნობილ ორ ლანდს, ესმოდა მამის—დუტუ მეგრელის დაბალი, რბილი ხმა:

«მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი»...

დედას გამოჰქონდა ქაღალდები, ბევრი ნაწერი ქაღალდები და უკითხავდა, უკითხავდა დუტუს იქამდე, სანამ თამარს თვალები მიელულებოდა...

დილით ბავშვებს სხვისი გაღვიძება აღარ სჭირდებოდათ. ელოდნენ, როდის გამოჩნდებოდა მამა, დაჯდებოდა კაკლის ხის ძირში და წაუკითხავდა მათ თავის «ქინაქინას».

იმ დღეებში ჭიშკრის გაღებას ვერ აუდიოდნენ და გრძელ მაგიდას ხშირად უსხდნენ აკაკი, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ანა ხახუტაშვილი, დათა ბაგრატიონი...

მაშინ არ გრძნობდა, მაგრამ მერე მიხვდა თამარი რა მისცეს მას გლეხის ქალებმა, დედასთან, მწერალ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასთან რომ დადიოდნენ ხშირად. მათთვის ყოველთვის ღია იყო თავადის ქალის კარი. ანასტასია უბრალოდ ხვდებოდა მათ, გვერდით მოისვამდა და ეტყოდა:

— აბა, კატო, მიამბე, რა გაგჭირვებია...

ქალები ტიროდნენ და დედას უყვებოდნენ თავიანთ გასაჭირს. საღამოს, როცა ანასტასია შვილებთან განმარტოვდებოდა, თამარი ჰკითხავდა მოულოდნელად:

— დედი, რა უნდოდა კატოს?

— ეჰ, ათასი უსამართლობაა, შვილო, ქვეყანაზე... მამასახლისი ავიწროებს...მარჩენალი ძროხა წაურთმევია გადასახადში...

— სალომეს?—არ ეშვებოდა თამარი.

— სალომეს ერთადერთი ბიჭი ჯარში წაიყვანეს, შვილო...

— დედი, კეკე რად ტიროდა, ჰა, დედი?

— დაიძინე... შვილი ჰყავს ავად და იმად...ფული არა აქვს, რომ ექიმი მოუყვანოს... ხვალ მე მივუყვან...

ღამე თამარი ფიქრობდა: «აი მე რომ გავიზრდები...»

...მას შემდეგ გავიდა ბევრი წლები. და ვერ ამბობ, რატომ ჩარჩა მეხსიერებაში თითქოს სულ უბრალო ამბები, რატომ ენიჭება მათ დროთა განმავლობაში მნიშვნელობა, რატომ გაძლევენ ისინი რაღაც კარგს მერე, დიდიხნის მერე, ათეული წლების შემდეგ. ვერ იტყვი, რატომ გაგახსენდა...

* * *

...თავის სამუშაო მაგიდასთან ზის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი თამარ დავითის ასული ხოშტარია-ცაგურია. ყოველ წუთს იღება კარი და მის წინ ჯდებიან ადამიანები—სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა პროფესიისა და ხასიათის.

ფრთხილად,—ფიქრობს თამარი.—შენს წინ ადამიანი! რაღაც გასჭირვებია და შენთან მოვიდა. უნდა დაივიწყო საკუთარი წუხილი და სიხარული და აი, ამ ადამიანის, ახლა შენს წინ რომ ზის, ამ ადამიანის ცხოვრებით უნდა იცხოვრო ეს რამდენიმე წუთი, სანამ ის ჰყვება თავისი ცხოვრების ამბავს.

ცხოვრების ამბავი...—ადვილი სათქმელია.

* * *

...კარგად დაამახსოვრდა კაცი—მაღალი, ძლიერი, ლამაზი ხელებით. ალბათ, ოდესღაც ძალიან ლამაზი იყო ქალიც. განსაკუთრებით ახსოვს მისი მწვანე თვალები—მოწყენილი და თბილი. ასეთი თვალები აქვთ ქალებს, რომლებიც მწუხარებას იტანენ თავისთვის, ჩუმად. ქალი არაფერს ჰყვებოდა, არაფერს თხოულობდა. დაილაპარაკა მხოლოდ მაშინ, როცა ქმარმა ლაპარაკი მის «აუტანელ ხასიათზე» ჩამოაგდო.

— აი, ასე უბრალოდ და თავისუფლად, სულ რამდენიმე წამში წაიშალა ჩვენი ცხოვრების ოცდახუთი წელიწადი,—თითქოს თავისთვის თქვა ქალმა.

...პროფესორ კ-ს ახლა ყველაფერი გააჩნია. მაგრამ იყო დრო,—არ ჰქონდა ბინა, საკუთარი მანქანა, ძლივს შოულობდა ფულს ბავშვისთვის რომ სათამაშო ეყიდა. ეს იყო იმ შორეულ სტუდენტობის წლებში და მაშინ ეს მას ყველაზე ნაკლებად აწუხებდა—მას ჰყავდა ლამაზი, ახალგაზრდა ცოლი და თავდავიწყებამდე იყო შეყვარებული. მაშინ ისინი ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდნენ, ჭამდნენ ყველსა და მჭადს ერთად კითხულობდნენ სტენდალს და იყვნენ ბედნიერები.

ქმარი დღედაღამ მუშაობდა და ცოლი ყველა პირობას უქმნიდა, ამისათვის. ინსტიტუტს თავი დაანება, თავისუფალ დროს თარგმნიდა და მიღებულ ფულს ოჯახს ახმარდა. ასე შეუმჩნევლად «გაითქვიფა»

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმრის ინტერესებში ჭკვიანი, ნიჭიერი ქალი. თუმცა გრძნობდა—კარგავდა რაღაც დიდს, მნიშვნელოვანს, რომლის გარეშე ცხოვრება უინტერესოა.

— სისულელეა ყველაფერი ეს,—ამბობდა ქმარი.—შენ ლამაზი ქალი ხარ, მე შენ მიყვარხარ, სხვა რა გინდა?

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქმარი სხვა ქალაქში გაგზავნეს სამუშაოდ. ცოლი თან გაჰყვა. სიცივე, გაჭირვება, მიწური ოთახი, ნავთის ლამფა—ყველაფერმა ამან ვერ შეაშინა ქალი. არავის არასოდეს არ გაუგონია მისი წუწუნი. მერე ისევ სხვა ქალაქში გაგზავნეს ქმარი. იქაც წაჰყვა. მერე კიდევ და კიდევ. ასე იყო სულ. რამდენჯერ დახმარებია ძნელ წუთებში, რამდენჯერ...ცოლი იყო მისი მრჩეველი, მდივანი, დიასახლისი და მისი შვილების დედა.

და, აი, სულ ცოტა ხნის წინ ის ისევ გაგზავნეს სხვა ქალაქში. ცოლი ისევ ჩავიდა მასთან. მაგრამ უცებ...ზედმეტი აღმოჩნდა. მისი ადგილი სხვამ დაიკავა—უფრო ახალგაზრდა, უფრო ლამაზმა ქალმა. და ახლა ქმარი წერს განცხადებას, სადაც თავს იმართლებს და ცდილობს დააჯეროს თავის „სიმართლეში" სხვაც...

«როგორ მოვიქცე?»—მერამდენედ ეკითხებოდა თამარი თავის თავს და მოსამართლეებს. შეარიგონ? ქმარს არ უნდა ეს. გააშორონ? მაშასადამე, უნდა შეასრულონ ეგოისტის მოთხოვნა, მაშასადამე, უნდა დარჩეს ეს მოღლილი, ჩუმი, თავმდაბალი ქალი სიბერეში მარტო. რას ამბობს ამაზე კანონი? ის ენდობა მოსამართლის სინდისს. კანონს ხომ არ შეუძლია გაითვალისწინოს ადამიანის ცხოვრების ყველა წვრილმანი მხარე. ბევრი რამაა დამოკიდებული მოსამართლის სინდის ზე. თამარმა იცის: განქორწინების შედეგად უპირველეს ყოვლისა, იტანჯებიან ბავშვები. მან იცის—მისი მოვალეობაა დაიცვას ბავშვის უდიდესი სიხარული—ჰყავდეს ორივე, დედაც და მამაც.

* * *

თამარი ფიქრობს: ხომ არ არის აქ მიკერძოება, შეიძლება არ ძალუძს მოსამართლე ქალს გაასამართლოს ქალი? როგორ მოიქცეს, მაგალითად, თუ ქალი-დედა მოითხოვს განქორწინებას, ხოლო ქმარი უარზეა?

ამაზე ფიქრობდა თამარი, როცა უსმენდა შალვა ა-ს. ის ემუდარებოდა თამარს დახმარებოდა ოჯახის შენარჩუნებაში... «ბავშვების ხათრით», იმიტომ, რომ მას «არა აქვს ბავშვების დატოვების უფლება». ქალი იჯდა ჩუმად და ნერვიულად აწვალებდა ხელში ფანქარს. იჯდა ჩუმად და თამარს უკვე აწუხებდა ეს სიჩუმე.

— ნუთუ არ არის შესაძლებელი...—შეეცადა თამარი.

— რა? რა არ არის შესაძლებელი? შერიგება?—უცებ დაიწყო ქალმა,—მე არ მინდოდა ყველაფრის თქმა. ახლა კი ვიტყვი, ტყუილად რომ არ დაკარგოთ დრო შეგონებებზე...

და, აი, ასე შემოდის თამარის სამყაროში კიდევ ერთი ცხოვრება.

...ვაჟს ქალი უყვარს. უყვარს თავდავიწყებით. ისინი დადიან მთვარიან ღამეებში და ვაჟი ყვავილებს აგროვებს მისთვის. ისინი ადიან ფუნიკულიორის პლატოზე და ვაჟი ეკითხება:

— გინდა... გინდა, შენთვის მე მთელ გალაკტიონს დავიზეპირებ, გინდა აქედან გადავვარდები... გინდა?..

ქალიშვილი იცინის და უარს ამბობს ასეთ «მსხვერპლზე».

მერე მოდის ბედნიერი დღე, მაგრამ სწრაფად გაივლის თაფლის თვე და ქმარი მოდის სახლში მოღუშული, ყოველთვის დაღლილი და ცუდ ხასიათზე... ავიწყდება ყვავილები, ცოლის დაბადების დღე... ასე გადიოდა დღეები, ასე მიდიოდა ბევრი, ბევრი ღამე და ასე უხმოდ იძინებდნენ წლები. ქალი ფიქრობდა—ხვალ არ იქნება ასე, ერთი თვის შემდეგ არ იქნება ასე... და უშინაარსოდ წავიდა წლები.

მერე, როცა ქალის ცხოვრებაში შემოვიდა სხვა კაცი, როცა მან მოაგონა, რომ ჯერ კიდევ არ არის დაკარგული ყველაფერი, რომ კიდევ არის ქვეყანაზე მზე და გაზაფხული,—ქალი წავიდა მასთან.

— როდესაც ქმარმა ყველაფერი გაიგო,—ამბობს ქალი,—ის მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე პირველად გამოვიდა თავისი ჩვეულებრივი მდგომარეობიდან. «როგორ? როგორ მოხდა ეს?! ჩვენ ხომ ყველაფერი გვქონდა»?!—მეკითხებოდა ის.

— გვქონდა ყველაფერი,—ვუპასუხე მე, გარდა სიყვარულისა.

... ეს არ იყო წუთიერი გატაცება, უბრალო ქალურმა კაპრიზმა არ მოიყვანა ეს ქალი სასამართლოში. მან თხუთმეტი წელი იცხოვრა უგულო, თავისთავში შეყვარებულ მამაკაცთან, რომელიც არაფრად აგდებდა ქალს და უყურებდა მას, როგორც ოთახში ავეჯს.

ისინი გააქორწინეს. ბავშვი დედასთან დარჩა. თამარი ფიქრობს, რომ ბავშვი დედასთან უფრო კარგად იგრძნობს თავს...

* * *

ჯოხზე დაყრდნობილი ბერიკაცი კითხვა-კითხვით მოდის უმაღლეს სასამართლოში. სახეზე თეთრი წვერი მოზრდია, დაკოჟრილ, მზემოკიდებულ ხელებში გაპოხილი ქუდი ჩაუბღუჯავს. ფრთხილად შემოაღო თამარ ცაგურიას სამუშაო ოთახის კარი და ჩოჩიალით მივიდა მაგიდასთან. თამარი წამოდგა, სკამი მიაწოდა მოხუცს, ჯოხი ჩამოართვა, სთქვა უბრალოდ:

— რაზე შეწუხებულხართ, ბიძია?

უბრალოდ სთქვა, მაგრამ ხმა იყო მტკიცე და იმედიანი. მოხუცმა თვალზე მომდგარი ცრემლი ხელით მოიწმინდა და თამარს შეხედა.

თამარს ჭაღარა თმა სადად აქვს გადავარცხნილი. ნიკაპი და ტუჩები თითქოს მკაცრი აქვს, მაგრამ მაინც რბილი და საოცრად კეთილშობილი.

ბერიკაცმა ერთხანს უყურა, მერე ოთხად მოკეცილი ქაღალდი ამოიღო გულის ჯიბიდან, მაგიდის კუთხეში დადო მოუხერხებლად.

— აქ სწერია, ბატონო, ყველაფერი. სირცხვილი მჭამს ჩემი შვილების მაგიერ, მაგრამ რა ვქნა, ვერ მოვიკალი თავი და...

თამარი ფრთხილად იღებს ქაღალდს. გული წინდაწინ ეკუმშება

...სოფელ ითხვისიდან ჩამოსულა თეოფილე მ. ბევრს მოსწრებია 70 წლის მანძილზე, ბევრი უნახავს, მაგრამ ცხოვრება თურმე საშინელ სიბერის წლებს უმზადებდა...

ორ ვაჟს ზრდიდა. დღე მუშაობაში უღამდებოდა და უთენდებოდა. სახლი თავისი ხელით ააშენა, ვენახს და ბოსტანს უვლიდა. ოცნებობდა იმაზე, როდის ამოუდგებოდნენ ვაჟკაცები მხარში. და, აი, როცა მათ ყველაფერი მზამზარეული დახვდათ, როცა ცოლები შეირთეს და შვილებიც გაუჩნდათ, როცა აღარ შეეძლო მუშაობა მამას, იგი ზედმეტი აღმოჩნდა...და დარჩა მოხუცი მარტო, მიგდებული, უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ. საკუთარი ხელით გაჭრილი ჭიდან ახლა წყალს არ ასმევენ შვილები...

დადის ბერიკაცი ჯოხზედაყრდნობილი, კარიდან კარზე, სასოფლო საბჭოსა და სასამართლოებში...

თამარი უსმენს. მერე დგება, მოხუცთან ახლოს მიდის და დიდხანს ელაპარაკება. ხმა აქვს თბილი და ახლობელი...

* * *

განუწყვეტლივ იღება კარი და რიგრიგობით შედიან მასთან ადამიანები ჯდებიან მისი მაგიდის წინ და ხან ცრემლიანია მათი თვალები, ხან ბედნიერი. ხშირად ყალბიც არის და მატყუარა. ამიტომ ამბობს თამარ ცაგურია: «უნდა შეხვიდე ადამიანის მდგომარეობაში, მისი დარდი შენად უნდა გაიხადო, მაგრამ, ამავე დროს, უნდა აგრძნობინო, რომ ვერ მოგატყუებს, უნდა აიძულო იყოს ბოლომდე გულწრფელი. მთავარია—გულწრფელი».

ოთახში შემოდის გამხდარი ქალი, პატარა. სწრაფი ნაბიჯით მოემართება მისკენ, ჯდება სკამზე და ნერვიულად იწყებს ჩანთიდან რაღაც ქაღალდების ამოღებას...

«ფრთხილად! შენს წინ ზის ადამიანი!—35 წლის მანძილზე მერამდენედ გაიფიქრებს თამარი,—მას რაღაც გასჭირვებია და შენგან ელის დახმარებას»...

* * *

საღამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, უმაღლესი სასამართლოს შენობის განიერ კიბეს ნელი ნაბიჯით ჩაითვლის მაღალი, თეთრთმიანი ქალი. მას ყველა თვალს აყოლებს და მოწიწებით ესალმება.

გარეთ მზეა და ყვავილები. აი, კონსერვატორიის შესახვევთან დგას ვაჟი, ხელში წითელი მიხაკები უჭირავს და მოუთმენლად იხედება აქეთ-იქეთ...აგერ, დედა ნაყინს ყიდულობს თავისი სამი შვილისთვის...აი, ბიჭი სასაცილოდ ჩასჭიდებია მამის ხელს და თავისკენ სწევს: «ჩქარა, მამილო, ფეხბურთი არ დაიწყოს!» აგერ, საბავშვო ბაღიდან გამორბიან თეთრწინსაფრიანი ბავშვები და დედებს კისერზე ეხვევიან... სულ ახალგაზრდა მამიკოს უხერხულად ჩაუბღუჯავს ხელში თავისი პირველი ვაჟიშვილი...

თამარი არ იცნობს ამ ადამიანებს, არ იცის მათი გვარი, სახელი და ფიქრობს იმაზე, რომ არ დაინახოს ისინი სასამართლოში მოსულნი, არ წაიკითხოს მათი გვარი მის მაგიდაზე დაწყობილ საქაღალდეზე, რომელსაც აწერია «განქორწინების საქმე».

**ლია გოგიშვილი**



ფოტო შ. გოქაძის

ალაზნის ველს თავის განიერ გულმკერდზე მარგალიტის ღილივით დაუბნევია სოფელი ნაფარეული.

ნაფარეული!

შორს არის გავარდნილი მისი სახელი.

უხსოვარი დროიდან მისდევდნენ ნაფარეულელები მევენახეობას. უთვალავჯერ «ატირებულა ვაზი» ამ სოფლის მინდვრებზე, უთვალავჯერ დაწურულა იგი საწნახელებში.

მუდამ გამოულეველი იყო ყურძენი ნაფარეულში, მუდამ იყვნენ და ახლა უფრო მეტი არიან მოწინავე ადამიანები.

თელავში ასე ამბობენ:

— ნაფარეულის რომელ სახლზეც არ უნდა დააკაკუნოთ, კარს აუცილებლად მოწინავე ადამიანი გაგიღებთო. მაგრამ პირველად აინც ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ლეილა ფოთოლაშვილს დაგისახელებენ.

* * *

წყნარი ცხოვრებით ცხოვრობს სოფელი ნაფარეული. სოფელს აქვს ანკარა წყარო, რომელშიც ყურება უყვართ პატარა ბავშვებს. იყურება პატარა ლეილაც და უხარია, რომ წყალში მისი ანარეკლი ისახება. შემდეგ მიირბენს მამასთან. მამა ხელში აიტაცებს და მხარზე შეისვამს. ასე მაღლიდან დაანახებს შვილს ორღობეებს, წყაროებს, სახლებს, თავსაფრიან ქალებს, საკოლმეურნეო მინდვრებს...

ჰორიზონტი თითქოს უსასრულოდ ვრცელი ხდება.

რა კარგია მამის მხარზე ჯდომა! რა კარგად მოჩანს აქედან ყველაფერი, და აქედან იწყება ლეილას ნაცნობობა ქვეყანასთან.

არ ყოფილა პატარა მისი სოფელი—

ის მიდის მდინარე ლოპოტას იქეთ, იმ შორეული მთების იქეთ, რომელთა წვერებზე თეთრი სახლები მოჩანს, იმათ იქეთ...

როცა ლეილამ ისწავლა ხელებზე თითების ღათვლა, ომი დაიწყო. მამა ომში გაიწვიეს. ჩუმად ტიროდნენ გასაცილებლად მოსული ქალები. პატარა ბიჭები ჯოხებს თლიდნენ და «ომობანას» სათამაშოდ ემზადებოდნენ.

დაიწყო ომი, მაგრამ ისეთივე დარჩა წითელი კრამიტით გადახურული სახლები, ისეთივე დარჩა ორღობეები, ისევ გულჩათხრობილ სიმღერებს ამბობდა მდინარე ლოპოტა ზამთარზაფხულ, არ წყდებოდა «ომობანას» თამაშით გართული პატარა ბიჭების ყიჟინა.

უყურებდა ყველაფერს კოხტად წითელთავსაფარწაკრული პატარა ლეილა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

მერე მის ცხოვრებაში შემოვიდა სკოლა, მერხები, მასწავლებელი, ამხანაგები.

ის ყოველ დილას მიიჩქარის სკოლისაკენ და როცა სახლში ბრუნდება, სავსე მათლაფას ახვედრებს დედა და ცრემლმორეული მზრუნველობით შეჰყურებს პირმშოს თვალებში.

მერე პატარა ლეილა გოდორმოკიდებული მიარბენინებს ყურძენს სასწორისაკენ.

ყურძენი იცლება უზარმაზარ ყუთში და ცარიელი გოდორი ხელახლა ივსება.

ასე მეორდება კარგახანს. ორმოცდაათი ნაბიჯი უნდა გააკეთოს სავსე გოდრით ლეილამ და ორმოცდაათი ნაბიჯი ცარიელი გოდრის ასავსებად.

ერთი, ორი, სამი. . ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი.

შრომაში გაატარა ლეილამ მოწაფეობის წლები.

ოჯახში ვაჟკაცი არ ტრიალებდა და დედას ადრე ამოუდგა მხარში. შრომამ გააკაჟა, ნებისყოფა გამოუმუშავა, სიძნელეებისათვის მოამზადა...

როცა ლეილამ ხუთებით დამშვენებული ატესტატი მიიღო, ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, თავისივე სოფლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას მიმართა და მორიდებულად ითხოვა სამუშაოდ მიეღოთ.

მიიღეს. ამ დროისათვის მთელი სოფელი იცნობდა ლეილას, იცოდნენ მისი შრომისმოყვარეობა და მუყაითობა.

მეურნეობაში ორი კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი მუშაობდა. ორი დიდი ნაკვეთი იყო ამ სიცოცხლითსავსე, ხალისიანი და შრომისმოყვარე ახალგაზრდული ჯგუფების ზედამხედველობის ქვეშ. ლეილა ფოთოლაშვილი ერთ რგოლს ხელმძღვანელობდა, მერი ჩიკვაიძე—მეორეს. თავს არ იზოგავდნენ მეგობრები, თავზე ევლებოდნენ მათზე გაპიროვნებულ ვენახებს, რგოლებს შორის მეგობრულ შეჯიბრებაში პირველობა რომ არ დაეთმოთ.

როცა ოქროსფერი ოქტომბერი დადგა და ყურძენი მოიწიეს, როცა სოფლად მხიარულებისა და ქორწილების დრომ მოაწია, «მოწინაალმდეგე» რგოლებმა თავიანთი მიღწევები დაითვალეს.

ორივე რგოლს დიდი გადაჭარბებით შეესრულებინა გეგმა, მაგრამ... ლეილა ფოთოლაშვილის რგოლს გაცილებით მეტი გაეკეთებინა გეგმის ზევით.

არცერთ მხარეს არ სწყენია ასეთი შედეგი.

შემდეგ ტრადიციად აქციეს ასეთი ამხანაგური შეჯიბრება, ვიდრე რგოლების ბრიგადად გაერთიანება არ მოხდა. ეს იყო ორი წლის წინ.

ყოფილი «მტრები» ახლა ერთ ბრიგადაში არიან.

თავიდან ყველაფერი ერთბაშად ისე როდი მოეწყო, როგორც ბრიგადის ხელმძღვანელებს უნდოდათ: რა დასამალია, იყვნენ ბრიგადაში ზარმაცები, რომლებიც უკან ეწეოდნენ ამხანაგებს. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საშუალო მაჩვენებლებით კმაყოფილდებოდნენ, მათზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა იყო საჭირო... ბოლოსდაბოლოს ყველაფერი მოწესრიგდა.

ახლა ბრიგადის წარმატებებს წინ ველარაფერი დაუდგებოდა. ბრიგადის 35 წევრიდან 25 კომკავშირელია, ყველა საშუალო სკოლადამთავრებულია, ექვსიც თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებია—ასეთი ბრიგადა არა გვგონია, ბევრი იყოს!..

ერთ წელსაც არ გაუვლია და მთელი რაიონი ლეილა ფოთოლაშვილის ბრიგადის შრომით მამაცობაზე ალაპარაკდა.

გასულ წელს ბრიგადას 40 ჰექტარი ახალმოსავლიანი ვენახი ჰქონდა აღებული, გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად 40 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძნით გაახარა ჩვენი სამშობლო. ამ წარმატებას მთელი რიგი წინამძღვრები განაპირობებდა.

კოლექტივში ღრმად იყო გამჯდარი ამხანაგობისა და სოლიდარობის გრძნობა,—ამან გაამარჯვებინა მას, სწორედ ამან მოუპოვა აღიარება ბრიგადას.

და ისევ ლეილა ფოთოლაშვილი...

რამ დაავიწყოს ახალგაზრდულ ბრიგადას შარშანდელი ოქტომბერი, რამ დაავიწყოს ლეილა ფოთოლაშვილს ის საზეიმო წუთები..

ლამაზია კახეთში ოქტომბერი...

სიყვითლე შეეპარებათ ხოლმე ფოთლებს, ალაზნის ველზე ყავისფერი და ყვითელი ლაქები მატულობს, მაგრამ ბუნება სულაც არ არის დაჩაჩანაკებული. იგი ოდნავ გაბრუებულია ბარაქიანი ვენახების სურნელით, უყვარს შემოდგომის მზე და ადრე ეძინება ხოლმე.

სწორედ მადლიანი ოქტომბრის ერთერთ დღეს გახდა ცნობილი ლეილა ფოთოლაშვილის ბრიგადისათვის კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელის მინიჭების ამბავი გრძელი სუფრა გაიშალა.

ერთ წუთში ყველას გადაავიწყდა ქართული სუფრის ტრადიცია და თამადად კინაღამ ლეილა ფოთოლაშვილი აირჩიეს.

— ჩვენი ლეილა სუფრის თავში დავსვათ

— ჩვენი ლეილა არ მოაწყინოთ!

ჩვენი ლეილა!

რამდენი სითბო და სიყვარულია ჩადებული ამ ორ სიტყვაში. მთელმა თელავის რაიონმაიცის მისი სახელი და განა მარტო თელავის რაიონმა?

თვითონ კი ძუნწად გველაპარაკება საკუთარ თავზე.

1957 წლიდან თელავის კომკავშირის რაიკომის ბიუროს წევრია და შტატგარეშე მდივანი.

ნაფარეულის სასოფლო საბჭოს დეპუტატია.

წელს ამხანაგებმა ლეილას უდიდესი ნდობა გამოუცხადეს—თავიანთ დელეგატად გაგზავნეს საქართველოს ალკკ 23-ე ყრილობაზე სადაც იგი აირჩიეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

ჩვენ ვეკითხებით ლეილას მისი მომავალი გეგმების შესახებ.

— იმ უდიდესი ნდობის პასუხად, რაც ჩვენი ბრიგადისათვის კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელის მინიჭებაში გამოიხატა,—ამბობს იგი,—ვალდებულებას ვკისრულობთ ახალმოსავლიანი ვენახის 10 ჰექტარ ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერის ნაცვლად 65 ცენტნერი ყურძენი მივცეთ სამშობლოს. გარდა ამისა, ჩვენმა ბრიგადამ დამატებით ივალდებულა, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით, დაამზადოს 1000 ტონა სილოსი

— თქვენი პირადი მიზანი?

— გაისად დავამთავრებ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებას და აუცილებლად ჩემს სოფელში ვიმუშავებ აგრონომად.

* * *

ვეთხოვებით მწვანეში ჩაფლულ ნაფარეულს, ვეთხოვებით კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს და... ლეილა ფოთოლაშვილს მანქანის ფანჯრიდან ვხედავთ; დგას იგი ხელაწვდილი, ენერგიული, ხალისიანი და მომღიმარი.

**გ კიკილაშვილი,**
**შ. ჯიაბრიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროს ეჯიბრება

ფოტო დ. იაკობაშვილის

— დუგ, დუგ, დუგ... — გუგუნებენ მანქანები, ხმაურობენ მაკრატლები, ხელიდან ხელში გადადის მოსწავლე გოგონების პალტოს ნაწილები.

საღამოს ცვლა მუშაობას შედგომია. უზარმაზარი ნათელი საამქრო გარდამავალი დროშით, ლოზუნგებით, პლაკატებით არის მორთული.

პირველი სამკერვალო ფაბრიკის მეორე საამქროში პარტბიუროს მდივანი თამარ სხვიტარიძე საამქროს უფროსთან ალექსანდრა ზებედაშვილთან და კომუნისტური შრომის საპატიო წოდებისათვის მებრძოლი ბრიგადის ხელმძღვანელ ვერა ჯვარშეიშვილთან საუბრობს.

— ეს კომუნისტური შრომის სახელწოდებისათვის მებრძოლი ბრიგადაა,—გვეუბნება პარტბიუროს მდივანი.—იგი 28 კაცისაგან შედგება, მან დღიურად 50 პალტო უნდა გამოუშვას, ფაქტიურად კი 60-ს ამზადებს.

— ყველაზე მოწინავე მუშა გაგვაცანით,—ვთხოვთ ბრიგადირს.

ეკატერინე ჩაგელიშვილის აგრეგატთან მიგვიყვანეს.

ეკატერინემ საბლანდავი მანქანა ჩართო.

— დუგ, დუგ, დუგ...—გუგუნებს მანქანა. მაქო გარბის მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ, სწრაფად მოძრაობენ ხელის თითები, პალტოს წინა კალთები რიტმულად შეცურდებიან და გამოცურდებიან. ორი წუთიც და... შუასაფენები დაბლანდულია. ახლა მეორე, მესამე, მეოთხე... რა სწრაფად მიდის დრო, სწრაფად მოძრაობენ საათის ისრები, მაგრამ ეკატერინეც სწრაფია, დროს ეჯიბრება.

ზის ეკატერინე საბლანდავ მანქანასთან და თავაუღებლივ მუშაობს. დღეში 60 პალტოს უნდა დააბლანდოს შუასაფენი, სინამდვილეში 120-ს ასწრებს. შესრულებული ოპერაცია უწუნოა. 260 პროცენტი — ასეთია მისი ყოველდღიური გეგმის მაჩვენებელი.

გარბის დრო, გარბის წუთები, საათები... და ხშირად, ძალიან ხშირად ეკატერინეს გონებაში თითქოს კვლავ მეორდებიან ძველი დღეები... მანქანა კი ისევ გუგუნებს. მაქო სწრაფად გარბის მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ. სწრაფად მიდის დრო და ეკატერინეს თითებიც მოძრაობენ სწრაფად, დროს ეჯიბრებიან თითქოს...

ახსოვს ომის წლები. მაშინ ოცი წლისა იყო. მეუღლესთან, ნიკოლოზთან 6 თვე იცხოვრა მხოლოდ. მერე ის საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ახსოვს, როგორ გამოემშვიდობა ნიკოლოზი დედას, მეუღლეს და დაიბარა:—აბა, თქვენ იცით... ეკატერინე ფეხმძიმედ დარჩა.

9 თვის იყო მისი ბიჭი, ეკატერინემ რომ მუშაობის დაწყება გადაწყვიტა და დედამთილს გაუმხილა წადილი.

— კი, მაგრამ...—თქვა დედამთილმა,—კოლიას არ ეწყინება? რას იტყვის?

—კოლია ფრონტზე იბრძვის, მე აქ ვიმუშავებ. მებრძოლებს ტანსაცმელს გავუგზავნი, ჩემი შეკერილი კოლიასაც შეხვდება.

და თბილისის სამკერვალო ფაბრიკაში მივიდა. ეს იყო 1944 წელი. პირველ ხანებში უჭირდა მუშაობა, მაგრამ მალე ფაბრიკა მისი მეორე ოჯახი გახდა, კოლექტივი მხარში ამოუდგა. მას შემდეგ 15 წელიწადი გავიდა და ეკატერინე კვლავ საკერავ მანქანას უზის. ახლა მას სხვა «შვილებიც» ჰყავს, ის ხომ ფაბრიკის ბავშვთა დაცვის კომისიის თავმჯდომარეა, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებზეც ზრუნავს, მათი კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობისთვისაც იბრძვის, მათი კარგი უხარია.

... ომმა მწუხარება მოუტანა ეკატერინეს!

... მაგრამ მწუხარებამ ვერ გატეხა ჯანმაგარი ქალი, თმა შეუთეთრდა მხოლოდ. ზის ეკატერინე თავის სამუშაო მაგიდასთან და კვლავ ძველებური ენერგიით მუშაობს, მარტო თავის სპეციალობას არ სჯერდება. შვიდ სპეციალობას დაეუფლა. როდესაც ბრიგადას გაუჭირდება, საქმე დაუგროვდება, ეკატერინეც იქ არის,—არავის მითითება არ ჭირდება, არავის შეგონება. ტყუილად კი არ უწოდებენ „გაჭირვების ტალკვესს"! ამიტომ შეიყვარა კოლექტივმა იგი. ამიტომაა 1948 წლიდან საქალაქო საბჭოს დეპუტატი. ეკატერინე უყვართ უბნის ამომრჩევლებს, იმიტომ რომ მათი ხშირი სტუმარია, უსმენს ხალხის ხმას, რჩევა-დარიგებას აძლევს, ეხმარება.

ახლა ერთი აზრითაა გამსჭვალული—უფრო ნაყოფიერი იყოს დღევანდელი დღე გუშინდელზე. ფაბრიკას, რომელიც მომავალ წელს თავისი არსებობის ორმოცი წლისთავს იზეიმებს, დიდი გეგმა აქვს. ეკატერინემ ორმაგად და უფრო მეტად რომ არ შეასრულოს თავისი გეგმა, სირცხვილიც იქნება. არ შეიძლება, რომ ჩამორჩეს, რატომ უნდა ჩამორჩეს! საქმეზე დააყენეს, ახალი მანქანა ჩააბარეს—კარგად რატომ არ უნდა იმუშაოს? ის ხომ მარტო არ არის? ეკატერინეს მხარდამხარ შრომობენ მისი ამხანაგებიც: ნინო დათუაშვილი, ევგენია სხირტლაძე, კარინე სოლოხიანი, ეკატერინე გოჩიტაშვილი, ანა შანინა, მარიამ აბულაძე, პაშა ქუჩკოვა, სონია ბედუკაძე და კიდევ ბევრი სხვა. მათ იციან, რომ დიდი საქმეც და პატარაც, ძნელიც და ადვილიც ჩვენს ქვეყანაში ხალხისათვის, მისი კეთილდღეობისათვის კეთდება.

ლიდა არუშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა თუ თანახმა იქნება...



ამ ქუჩაზე რომ გადმოვედი, ის სულ პატარა გოგო იყო. ძალიან გამხდარი და შავი. სკოლაში გასკდომამდე გატენილი ჩანთით დადიოდა, კაბა პალტოზე ერთი მტკაველით გრძელი ჰქონდა და ყოველთვის სრუნტავდა.

ახლა სკოლაში აღარ დადის, მაგრამ ისევ გამხდარი, გალეული და შავია. ოღონდ აღარ სრუნტავს და თვალები უელავს. ყოველ დილით ჩემ ფანჯრებთან ჩამოივლის ხოლმე, მეც, ვითომ სხვათაშორის, გავიხედავ, ის მესალმება, თვალებს ხრის და მერე ისევ განაგრძობს გზას, მეშინია არ წაიქცეს. ყოველთვის აცვია უკანასკნელ მოდაზე, თმის ყოველი ბეწვიც კი გულმოდგინედ უდევს თავის ადგილას.

ვუყურებ და მეცოდება. ახლა, რა დააშავა ამან რომ ასეთია...გული კი, ალბათ, ისეთი აქვს, როგორც ყველა ქალიშვილს. კისკისებს, კოხტაობს, ღამღამობით ოცნებობს სიყვარულზე, სარკის წინ კი ყველაფერი იფუშება

ნეტავ რად უნდა ამდენი კაბა, რაც არ უნდა ჩაიცვას სულერთია—მაინც არ მოუხდება... თავის თავი კი, ალბათ, ლამაზი ჰგონია...

მაგრამ მას მაინც ვუღიმი და ფანჯრიდან ვეძახი:

— გამარჯობა, ნელი! ვეღარ გიცანი, მაგ კაბაში სულ გამოცვლილხარ.

— რატომაც არა, ცუდი გოგო ვარ თუ?—მეუბნება და გზას განაგრძობს. გამხდარ ფეხებს ისე მიაცუნცულებს, გეგონება, მიწაზე დაკარებისა ეშინია, დროზე თუ არ შეენაცვლნენ ფეხები ერთმანეთს, დაწვებიანო. მეც ვუცდი, როდის წამოკრავს რაიმეს ფეხს და წაიქცევა, მან კი იცის, რომ მე ვუყურებ. ალბათ, წითლდება და ფეხი უფრო ერევა. წაქცევით კი საკვირველია და, არასოდეს წაქცეულა.

იმ დღესაც, შებინდებისას ფანჯარაში გადაყუდებული ვიყავი და პაპიროსს ვწევდი. ნაცნობი ბაკა-ბუკი მომესმა·

— საღამო მშვიდობისა, ლეო!

— შენა ხარ ნელი? ასეთი კარგი საღამოა, ახლა სახლში კი არა, სასეირნოდ უნდა მიიჩქაროდე.

— მარტო ხომ არ ვივლი?—გაიცინა ნელიმ.

— შე დალოცვილო, ამხანაგები გაწყდნენ?

— არ გაწყდნენ, მაგრამ...ჩემი ტოლები ან გათხოვილები არიან, ან არადა...—ნელიმ ჩაიცინა,—ვის სიამოვნებს მესამე, «ზედმეტი»...

ამას ისე მხიარულად ამბობდა, თითქოს არაფერიაო. თვალებში კი ემჩნეოდა, ეს მისი ყველაზე მტკივნეული საკითხი იყო.

— წამოდი, კინოში წავიდეთ, ახალი სურათია...—როგორღაც ვუთხარი მე. უარზე იყო, მერე დამთანხმდა და ქუჩა სულ ბაკა-ბუკით ჩაირბინა, რომ დედა გაეფრთხილებინა·

კინოს დაწყებამდე დიდი დრო იყო და რუსთაველის პროსპექტს გავყევით... მივდიოდით ნელა და ვლაპარაკობდით, ნელი ხუმრობდა, იცინოდა და რაც ყველაზე უფრო გამიკვირდა, მსჯელობდა საღად, დამაჯერებლად.

სულაც არ ყოფილა ისეთი ქარაფშუტა, როგორიც მეგონა და, ჩემდა გასაკვირვად, თავისი თავიც არ ჰგონებია ძალიან ლამაზი. ამან მთლად გამაოცა და აღმოვაჩინე—შავი კი არა, ნელი თურმე შავგვრემანია: გამხდარი და დაბალი კი არა, სუსტი და ნაზია, თვალები უციმციმებს და ხმა ისეთი კარგი აქვს, შეიძლება თვალებდახუჭულმა დილამდე უსმინო მას.

იმ საღამოს სახლში დაბრუნებისას ვკითხე;

— ხვალ კონცერტზე ორი მოსაწვევი მაქვს, წამოხვალ?

— არ ვიცი დედა თუ გამომიშვებს...

მეორე საღამოს კონცერტიდან დავბრუნდით და კვლავ ვკითხე:

— ხვალ გამოფენაზე წამოხვალ?

— არ ვიცი, დედა თუ გამომიშვებს...

საკვირველია, მაგრამ ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა მეორე დღე. დედამისი ეზოს კარებში დადგებოდა და მომღიმარ თვალებს გამოგვაყოლებდა. ჩვენს ფანჯრებთან რომ ჩავივლიდით, დედაჩემი თვალებს დამიბრიალებდა..-

და როცა სახლში გამოვტყდი, დედაჩემს კინაღამ გული წაუვიდა.

— ჩემი რძალი ვარსკვლავებს უნდა ეთამაშებოდეს. მაგ შავ კნუტს სახლში როგორ შემოვუშვებო. შეიძლება პირველი შემთხვევა იყო, რომ დედას არ დავუჯერე და ყოველ საღამოს მაინც ვეკითხებოდი ნელის:

— ხვალ ოპერაში წავიდეთ?

— არ ვიცი, დედა თუ გამომიშვებს...

ოპერიდან ვბრუნდებით და კვლავ ვეკითხები:

— ნელი, გინდა ხვალ კალათბურთზე წავიდეთ?

ისიც თითქოს სხვა პასუხი არ არსებობდეს, მხრებს აიჩეჩავს და... – არ ვიცი, დედა თუ გამომიშვებს – ამბობს.

ერთ საღამოს კვლავ მინდოდა რაღაც მეკითხა მაგრამ თითქოს სურთქვა შემეკრა, ხელი დავუჭირე და...

— ნელი, იცი რა...

არ ვიცი რა წაიკითხა ჩემს სახეზე, შეშინებულმა ამომხედა, ხელი ტუჩებზე ამაფარა და ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა:

— ვიცი, არაფერი სთქვა...—და უფრო ჩუმად დაუმატა:

— დედა თუ თანახმა იქნება...

**ნანო იორამაშვილი**



# მეტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ერთი სოფელი ჩოხატაურის რაიონში. ის არც პატარაა და არც დიდი. ჩვეულებრივი გურული სოფელია— მაღლობზე წამომდგარი ოდა-სახლებით, ხეხილისა და ვენახის ბაღებით, ხალიჩასავით გაშლილი ჩაის მწვანე პლანტაციებით. ეს სოფელი ფარცხმაა—ძველი ბოლშევიკების სინონიმად ქცეული ამ კუთხეში.

და მართლაც გურიაში, იქნებ, მთელ საქართველოშიც ძნელად იპოვით მეორე სოფელს, სადაც იმდენი ძველი ბოლშევიკი იყოს, რამდენიც ფარცხმაში.

უბრალო ხახელობითი სიაც კი საკმაოდ გრძელი იქნებოდა, რომ არაფერი გვეთქვა მათს საქმიანობაზე. ჩვენ მხოლოდ ორ მათგანზე გვინდა მოგითხროთ ცოტა რამ.

* * *

პატარა იყო. რვა და-ძმაში ყველაზე უმცროსი, მეტიას ეძახდნენ (მეტიაო—შეიძლება ასე ფიქრობდნენ მშობლები, როცა ამ სახელს არქმევდნენ). ანცი და უდარდელი, კალიასავით მოუსვენარი, კალიებსა და პეპლებს დასდევდა მინდორში. არ იცოდა რა იყო დარდი და მწუხარება, ყველაფერი ამ ქვეყანაზე მის გასართობად და მისთვის გაჩენილი ეგონა.

უდარდელი იყო და უცბად უსაშველო დარდი გაუჩნდა, პატარა იყო და გული დიდივით დაეხშო. იმ წელს სოფელში ყვავილი გაჩნდა. არავინ დაინდო, არც დიდი, არც პატარა. გიტო ბერძენიშვილისას კი ჯოჯოხეთი დაატრიალა. სულ რამდენიმე დღეში 8 კუბო გაიანეს სახლიდან... გადარჩა მეტია და მისი უფროსი ძმა. ერთბაშად შეიცნო პატარამ სიკვდილის საშინელება და გული თითქოს გაეყინა, სახეზე ღიმილი გაუქრა. ოთხი წლის ბავშვი, სამუდამოდ გამოეთხოვა ბავშვობას. თვალცრემლიანი დაბორიალობდა სიკვდილის სიჩუმით მოცულ სახლში და საყვარელი ადამიანების სახეები ელანდებოდა. მერე შორეულმა ნათესავებმა წაიყვანეს სამადლოდ. შეძლებულ ოჯახში ცხოვრობდა. თითქოს არც შიოდა და არც ციოდა. მაგრამ მშობლიურ სითბოსა და ალერსმოკლებული ბავშვის გულს აღარაფერი ახალისებდა. ყველაფერს ერჩია მარტო ყოფნა. დროს რომ იშოვიდა, სადმე კუთხეში მიჯდებოდა, ჩარგავდა მუხლებში თავს და იყო ასე. ჩუმად ებრძოდა დარდსა და ნაღველს, გულის ჭრილობას, საყვარელი ადამიანების დაკარგვამ რომ დაუტოვა.

ძაინც ბავშვი იყო, 7 წლის ბავშვი და მახვილი სმენა ჰქონდა. ??? დღეს მეზობელი ქალების ხმადაბლა ლაპარაკს მოჰკრა ყური:

«საცოდავ ესიკას ტყეში კურდღელი მოუკლავს, ერისთავის მოურავი შესწრებია და ცემით კინაღამ სული ამოუხდია».

«მაგი გაგიკვირდა? დაგავიწყდა რა დღე დააყენეს ნიკოიას მდინარეში ერთი ლიფსიტა რომ დაიჭირა?»

«ეჰ, საშველი არ ჰქონია ჩვენს გაჭირვებას და ის არის. ნათესებიც მაგათია, საძოვრებიც, ტყეებიც, მდინარეებიც, სწავლაც და განათლებაც. ჩვენმა შვილებმა კი ცარიელი ჰაერი უნდა ყლაპონ და ნაცარი ქექონ» —ჩურჩულებდნენ და ოხრავდნენ ქალები.

საკუთარი დარდი ეყოფოდა, ახლა «სხვებისაც» მიემატა. ფიქრობდა ბავშვი. ფიქრობდა და ვერაფრით აეხსნა ამ დიდი უსამართლობის მიზეზი...

იზრდებოდა და უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა. არავინ ჰყავდა ისეთი, თავისი დარდის თანაზიარი რომ გაეხადა. ერთადერთი ძმა ბათუმში მუშაობდა...12 წლის იყო მეტია, ძმა რომ ბათუმიდან დაბრუნდა, გაზრდილი და დავაჟკაცებული. სხვის კარზე აღარ დატოვა და, სახლში მიიყვანა, მიუალერსა, კერიაზე ცეცხლი აანთო. ფეხზე წამოდგომა იწყო წაქცეულმა ოჯახმა. გული გაეხსნა გოგონას, გული მშობლიური ძერის სითბომ გაუთბო. შესცქეროდა ძმას, ახლა ყველას მაგივრად რომ უყვარდა, და ამდენი წლის შემდეგ პირველად იღიმებოდა...

სოფელში რაღაც ხდებოდა, გახშირდა ბათუმში სამუშაოზე წასული მეზობლების მიმოსვლა, საიდუმლო ჩურჩული, ფაცაფუცი. ამოვიდა ესე ცინცაძეც, ახალგაზრდა, მაგრამ ყველასაგან ჭკუის საკითხავი კაცი. ხშირად ხედავდა მასთან კოსტა და გრიგოლ ცინცაძეებს. გუმანით ხვდებოდა მეტია, რომ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი მზადდებოდა, მაგრამ რა, ეს ჯერ არ იცოდა. მერე თვითონვე გაუმხილეს, დინჯი და დაფიქრებული გოგონა სანდოთ მიიჩნიეს და არც შემცდარან. გაიგო მეტიამ, რომ რევოლუცია მზადდებოდა, მეფის ტახტის დასამხობად ერთიანდებოდნენ მშრომელები, საუკუნეობრივი უსამართლოებისათვის ბოლო რომ მოეღოთ. მერე ის იყო ბათუმიდან ამოვიდა ახალგაზრდა სტალინი. ბოლშევიკიაო—საიდუმლოდ გაანდო მეტიას კოსტა ცინცაძემ. ისიც იცოდა გოგონამ, რომ თვითონ კოსტა, ესე, ასალო, ვლადიმერ, სეფე, გრიგოლ ცინცაძეები და სხვებიც, ცხოვრების ავკარგსა და პოლიტიკურ ანაბანას რომ ასწავლიდნენ მას, ლენინისა და ბოლშევიკების გზას მიჰყვებოდნენ.

— თითქოს გუშინ იყო, ისე მახსოვს ყველაფერი,—გვიამბო ამას წინათ მეტია ცინცაძემ, პერსონალურმა პენსიონერმა, პარტიისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილმა მოხუცმა,—ჩამოვიდა სტალინი და ფარული კრება ესე ცინცაძისას გაიმართა. 14-15 წლის გოგო ვიყავი მაშინ. მენდობოდნენ. მეთვალყურედ დამაყენეს. რაიმე საეჭვოს თუ შევამჩნევდი, კრების მონაწილენი უნდა გამეფრთხილებინა, ვიცოდი კრებას ისინიც ესწრებოდნენ, ვინც ლენინს არ ემხრობოდნენ. ვდგევარ გარეთ სიბნელეში თვალებგაფართოებული, რომ საეჭვო არაფერი გამომეპაროს და თან ვშიშობ ვაი, თუ ვერ მოერიონ ჩვენები მოწინააღმდეგეებს. გავბედე და მეორე დღეს ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი შიში, სტალინმა გაიღიმა და მითხრა: ნუ შიშობ, გოგონა, ისინი ვერაფერს დაგვაკლებენ. აი ნახავ, ზოგიერთი მათგანი ბოლოს ჩვენთანაც კი მოვაო.

მაშინ შეიქმნა არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაცია ფარცხმაში. 1905 წელი იყო. ახალი ცხოვრება დაიწყო მეტიასათვის, დიდი შინაარსით და ხიფათით სავსე ცხოვრება. 1915 წლამდე ფორმალურად უპარტიო, დიდი ნდობით სარგებლობდა ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრთა შორის, ეხმარებოდა მათ: ბოლშევიკურ მოწოდებებსა და ბროშურებს უკითხავდა ჩუმად გლეხ ქალებს, მარსელიოზას ასწავლიდა მათ, მთელი ხმით რომ ემღერათ თავის დროზე...

...1907 წელს 16 წლის ქალიშვილი სამუდამოდ უკავშირებს თავის ცხოვრებას კოსტა ცინცაძეს, ფარცხმის არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთ პირველ, თუ შეიძლება ითქვას, ფუძემდებელ წევრს. ამიერიდან მეუღლე შეუდგა მხარში მეტიას და იგი რევოლუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ია კატო

ციური მუშაობის უფრო აქტიური და მტკიცე მონაწილე გახდა. 1915 წლიდან, უკვე პარტიის უფლებამოსილი წევრი, ორგანიზაციულ მუშაობაშიც ებმება. 1917 წელს ჩოხატაურის სათემო კომიტეტის წევრად ირჩევენ, ამავე დროს გურიის კომიტეტის წევრიცაა.

ჩოხატაურის ცნობილ ბოლშევიკურ გამოსვლებს 1919 წელს, მენშევიკურმა მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა. მეტიაც დაიჭირეს, როგორც ამ გამოსვლების აქტიური მონაწილე, მხოლოდ მცირეწლოვანმა შვილებმა იხსნეს იგი დიდი სასჯელისაგან.

...მოვიდა მეტიასა და ათასობით მისთანების ბრძოლით და სისხლით მოპოვებული გამარჯვება. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მაგრამ ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. გამარჯვების შენარჩუნება არანაკლებ მსხვერპლს მოითხოვდა, ვიდრე მისი მოპოვება და ამ მსხვერპლს უყოყმანოდ იღებდა ოჯახით დაყურსული, უკვე შვიდი შვილის დედა მეტია ცინცაძე.

ქალების სერიოზული დაძაბვა საკოლმეურნეო მშენებლობის პირველმა წლებმა მოითხოვა.

— ადამიანის შეგნებაში საუკუნეობით ჩანერგილი კერძო მესაკუთრული გრძნობის აღმოფხვრა ადვილი როდი იყო. უფრო გაჭირდა ქალების დარწმუნება. მოთმინებით ვუხსნიდით მათ საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობას კერძო მეურნეობასთან შედარებით, მის მნიშვნელობას გლეხი ქალის განთავისუფლებისათვის. ბოლოს და ბოლოს დაგვიჯერეს და არც არაფერი დაუკარგავთ, მოპოვებით კი ბევრი მოიპოვეს. — გვესაუბრება მეტია და გჯერა, რომ ამ დარბაისელი და ჭკვიანი ქალის სიტყვა უთუოდ იპოვიდა გზას მსმენელთა გულისაკენ.

ახლა მეტია დიდი ოჯახის დედა და 70 წელს მიღწეული ქალია. ძველებურად აღარ მოსდევს ღონე, გული კი კვლავ გაუტეხელი აქვს. ისევ ფარცხმის პარტიული ორგანიზაციის აქტიური წევრია. შეჰხარის 12 შვილიშვილს, ახალგაზრდობას, ცხოვრობს და სუნთქვას ახალი ცხოვრებით, რომლის დამკვიდრებას მოახმარა მთელი თავისი მდიდარი სიცოცხლე. ამაყობს ჩვენი ქვეყნის ყოველი გამარჯვებით, ქვეყნისა, რომლის დაცვამ კვლავ დიდი მსხვერპლი მოსთხოვა მას ამ 16-17 წლის წინათ — სამი ვაჟკაცი შვილის სიცოცხლე.

* * *

სოფლის შარაგზაზე მსუბუქად, ისე თითქოს მხრებზე არ ეკიდოს 73 წელი, მიაბიჯებს მოხუცი მანდილოსანი. მას საოცრად ცოცხალი სახე და ფაქიზი გარეგნობა აქვს. ყურადღებით აკვირდება, ეს უკვე მერამდენედ, ყველაფერს: ჩაის პლანტაციებსა და ვენახის ზვრებს, ხეხილის ბაღებსა და აქოჩრილ ტყეებს, სკოლის ორსართულიან შენობას და მკვიდრად ნაგებ კოლმეურნეთა კოხტა ოდასახლებს. აკვირდება და სახეზე კმაყოფილების ღიმილი ეფინება.

შემხვედრნი მოწიწებით ესალმებიან:

— კატო ბებია, სად მიბრძანდებით?

— კატო ბებია, როგორ ბრძანდებით?

— ხომ ყოჩაღად გრძნობთ თავს, ბებია კატო?

ყველას პასუხს გასცემს, ყველას მოიკითხავს. ბავშვებს მიუალერსებს, თავზე ხელს გადაუსვამს და ნელი ნაბიჯით შევა სასოფლო საბჭოს ეზოში, სკამზე ჩამოჯდება, ცახოცს შეიხსნის. მის გარშემო უმალ შეიკვრება ახალგაზრდების წრე.

— კატო ბებია, მოგვიყევით რაიმე საინტერესო ამბავი წინანდელი ცხოვრებიდან?

ბებია კატოც თხოვნას აღარ გაამეორებინებს ცნობისმოყვარე ახალგაზრდებს და იწყებს:

...როცა ალიხანოვ-ავარსკიმ, ამოვარდა მისი გვარი და ჯილაგი, გადასწვა გურია,.. — ჰყვება დინჯად. ჰყვება და იხსენებს ნასაკირალის შეტაკების დროს დაღუპულებს, ციმბირში გადასახლებულებსა და შინ არდაბრუნებულებს, ახლობლებსა და შორებლებს...

ვინ არის ეს მოხუცი ასე პატივისცემით რომ ეპყრობიან თანასოფლელები? ასე ყურადღებით რომ უსმენენ ახალგაზრდები?



ეს ეკატერინე ცინცაძეა, პერსონალური პენსიონერი, ფარცხმელ ბოლშევიკთა ძველი კოჰორტის ღირსეული წარმომადგენელი, 1907 წლიდან პარტიის წევრი, იმ დღიდან ამ დღემდე შეუბღალავად რომ ატარა კომუნისტის მაღალი სახელი და ახლა ხარობს და ტკბება ახალი ცხოვრების სიკეთით, რომლის მოპოვებაში არამცირე წვლილი უდევს მასაც.

უმიწაწყლო გლეხის შვილი, რომელმაც არ იცოდა რა იყო ბავშვობის სიხარული, ხელზე მოსამსახურედ მუშაობდა სოფლის მღვდელთან. ორი წელი გაატარა სხვის კარზე, შიმშილის, უდიერი შრომის და დამცირების ორი წელი. მერე ისევ თავის ღატაკ ოჯახს დაუბრუნდა. გაჭირვებიდან შვილის ხსნა მშობლებმა მის გათხოვებაში დაინახეს და აი, 17 წლის კატო საკუთარი ოჯახის ჭაპანში გაება. სწორედ აქედან იწყება მისი ბიოგრაფიის ახალი და ყველაზე საინტერესო ფურცელი. ქმარი, ბარნაბ უჯმაჯურიძე, 1905 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი, დიდი ცხოვრებისაკენ უკაფავს გზას თავის ახალგაზრდა მეუღლეს, უხსნის ქვეყნად გამეფებული უსამართლობის მიზეზებს, ასწავლის მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს. ახალგაზრდა ქალის ფხიზელი გონება ადვილად სწვდება სიმართლეს და მალე იგი მხარში ამოუდგება ქმარს არამარტო ოჯახში, არამედ რევოლუციურ მუშაობაშიც.

1907 წელს კატო ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედის და პარტიის უფრო ადრინდელ წევრ ქალებთან — ივლიტა და აწ განსვენებულ გოგონა და მართა ცინცაძეებთან ერთად ფარცხმის არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის აქტიური წევრი ხდება: ავრცელებს პროკლამაციებს, საუბრებს ატარებს გლეხ ქალებთან, მონაწილეობს ყველა რევოლუციურ გამოსვლებში. ყველაფერი ეს, რაც ახლა ერთი შეხედვით ასე ადვილად გვეჩვენება, მაშინ დიდ თავგანწირვასთან იყო დაკავშირებული და ამას არ მოერიდა უბრალო სოფლელი ქალი, რომელსაც სკოლაში არ უსწავლია. მაგრამ ცხოვრების დიდი სკოლა გაიარა და გულით გაიგო სიმართლე, გაიგო და ამ სიმართლის გამარჯვებას უყოყმანოდ მისცა ყველაფერი, რისი მიცემაც მას შეეძლო საერთოდ.

ესაუბრები მას, კმაყოფილსა და ამაყს ჩვენი ქვეყნის წარმატებებით და გრძნობთ რამდენად იდეური და უმწიკვლო იყო და არის იგი თავის რწმენაში და შენც თითქოს უფრო მაღალი და უმწიკვლო ხდები.

**მირცა კალანდაძე**

7994

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფსიქიატრი

ფოტო დ. იაკობაშვილის

მე მის სამუშაო ოთახში ვარ. ოთახი პატარაა და მყუდრო. აქ მხოლოდ საწერი მაგიდა და ორი სავარძელი დგას. კედლები ჭერამდე აზიდულ წიგნებს დაუფარავს. მაგიდაზე აწყვია რამდენიმე ლექსიკონი და ხელნაწერი ფურცლები. იქვეა ფოტოგრაფიული სურათი—შუახნის მამაკაცს ხელში აუყვანია პატარა ბიჭი. მაგიდის შუაში დგას მრგვალი საათი. საათზე დათვი გადაწოლილა ნებიერად და თვლემს...

ვცდილობ წარმოვიდგინო ამ ნივთების პატრონი და ერთხელ კიდევ ვათვალიერებ ოთახს.

— დიდხანს გაცდევინეთ, არა?—მესმის ქალის ხმა და მისკენ ვბრუნდები. ვეცნობით ერთმანეთს. იგი საშუალო ტანისაა, სანდომიანი სახე აქვს, უბრალოდ გადავარცხნილი ჭაღარაშერთული თმა და კეთილი ღიმილი.

* * *

მტკვრის პირას ერთი შენობა დგას, პირქუში და მიუკარები. შეუძლებელია გვერდით ისე ჩაუარო, რომ სევდა არ შემოგაწვეს, მერე თითქოს რაღაცის უარყოფის ნიშნად, თავს გაიქნევ და შვებას მოგგვრის იმის შეგრძნება, რომ შენს სხეულში ყველა ნერვი სიცოცხლით ფეთქავს, რომ ცა შენთვის მხოლოდ ცაა, ისეთი, როგორიც თვალის პირველი გახელიდან გახსოვს, რომ მზე მზეა, მტკვარიც მხოლოდ მტკვარია და მეტი არაფერი.

იმ შენობაში ადამიანები არიან. მათი გრძნობები უჩვეულოა, მათისამყარო შეუცნობელი.

...პალატა, რომელშიც ჩვენ შევდივართ, საკმაოდ დიდია, კარები, მძიმედ და ხმაურით იხურება. ფანჯარასთან ახალგაზრდა ქალი დგას, თმა უსწორმასწოროდ ჩამოშლია მხრებზე, ხელებით მაგრად ჩასჭიდებია რკინის რიკულებს და უაზროდ გაჰყურებს სივრცეს. ფეხის ხმაზე ის ჩვენსკენ ბრუნდება და პირდაპირ ექიმისაკენ გამორბის.

— დეიდა ლილი, გეხვეწებით, გამიშვით სახლში, ხვალ ჩემი დაბადების დღეა!—ევედრება იგი.

ექიმი მხრებზე ხელს ხვევს და ტკბილი ხმით ეუბნება:

— გაგიშვებ, აბა, აქ ხომ არ დაგტოვებ. აი, კარგად გახდები და სულმთლად წახვალ აქედან.

— მე არაფერი არ მჭირს, მე ჯანმრთელი ვარ, სრულიად ჯანმრთელი!—ყვირის ახალგაზრდა ქალი, შემდეგ ეს ყვირილი ისტერიულ ქვითინში გადადის. წუთით თითქოს ისევ წყნარდება და ახლა დამნაშავესავით დგება ექიმის წინ, პატიებას ითხოვს.

ექიმი გულში იკრავს აკანკალებულ ქალს, მერე ისევ იწყება შთამაგონებელი საუბარი...

ამ პალატაში ბევრია ასეთი ავადმყოფი. ყველას დაკარგული აქვს საგნებისა და მოვლენების ნათელი გონებით დანახვის უნარი. ყველა საკუთარი ფანტაზიით და წარმოსახვებით შექმნილ სამყაროში ცხოვრობს.

გულდამძიმებული გამოვდივარ საავადმყოფოდან. ძნელია იყო სულის მკურნალი, თუ ძალიან არ გიყვარს ადამიანი, ახლა უკვე აღარ მეჩვენება უცხოდ ის, რაც გუშინ მიამბო ლილი ნაკაშიძემ და ჩემს თვალწინ ცოცხლდება მისი განვლილი გზა.

* * *

თმა ბიჭურად ჰქონდა შეკრეჭილი, ქუდიც ბიჭისა ეხურა, სიარული და ლაპარაკიც ბიჭივით იცოდა. ძალიან ცოტა იყო მის ქცევაში ქალური,—ასე ფიქრობდა ყველა.

უყვარდა ძალიან ბევრი რამ. არ უყვარდა ექიმები. და აი, ერთ დღეს მოულოდნელად განაცხადა, რომ სურს ექიმი გახდეს.

ეს არ იყო უბრალო ახირება.

რამ მისცა ბიძგი ამ გადაწყვეტილებას!?—ამაზე თვითონაც ბევრს ფიქრობდა.

ალბათ, ნუცუბიძისა და უზნაძის ლექციებმა, გაკვეთილების მომზადებას რომ ავიწყებდა და ღამეებს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საკითხებზე ათევინებდა, ალბათ, იმან, რომ ფსიქოლოგიას თავისი საგნის მეტისმეტად მოყვარული მეგი მიქელაძე ასწავლიდა, ან იქნებ იმანაც, რომ მაშინ ახალგაზრდობა ძალიან გატაცებული იყო ფსიქოლოგიით.

და ყველაფერი მოხდა ისე, როგორც მას სურდა. დაიწყო სწავლა ერთდროულად ფსიქოლოგიისა და სამედიცინო ფაკულტეტებზე.

ერთხელ ნათესავს წაჰყვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ეს იყო პირველი მისვლა მისი მუშაობის მომავალ ობიექტთან. იქ ნახულმა და გაგონილმა მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და მაშინ მიხვდა, ფსიქიატრი ადამიანის სულის მკურნალიც არის და მკვლევარიც, რომ მისთვის მთავარია უყვარდეს თავისი პროფესია, უფრო მეტად კი ადამიანი და მისი სიყვარულით უნდა აიტანოს ყველა სიძნელე, რაც ყოველ წუთს ამ პროფესიის თანამგზავრია.

ეს ცოტა უფრო გვიან მიხეილ ასათიანმაც უთხრა, როცა ძირითად საგანში—ფსიქიატრიაში დაიწყო ლექციების მოსმენა.

ამის შემდეგ მიხეილ ასათიანი (საქართველოში ფსიქიატრიული საქმის ორგანიზატორი) გახდა ლილის პედაგოგი და უშუალო ხელმძღვანელი მის მუშაობაში.

ცოდნის ძიებაში გავიდა სტუდენტობის ხუთი წელი.

მერე კი პროფესიის სიყვარულმა თავისი გაიტანა და ცხოვრებაც ამ გზით წავიდა.

ამ გზამ ბევრი რამ დააკავშირა ერთად, ბევრი კარგი ადამიანი შეახვედრა ლილის და წარსულზე ნათელი მოგონებები დაუტოვა.

ერთი ასეთი მოგონება ლენინგრადიდან წამოჰყვა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლენინგრადის ბეხტერევის სახელობის ფსიქონერვოპათოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობდა ორდინატორად. აქვე ჩაეყარა საფუძველი მის პირველ სამეცნიერო შრომას.

ყველაზე ძალიან კი ლილის ლენინგრადიდან ჩამოსვლის დღე ახსოვს.

მოდიოდა და ყველაფერი ახარებდა. გული იმედებით ჰქონდა სავსე და მომავალიც სულის მკურნალისა და მეცნიერის სახით ეხატებოდა მხოლოდ. სრულყოფილი ბედნიერების სხვაგვარად წარმოდგენა არც კი შეეძლო.

სულმოუთქმელად აირბინა კალანდაძის ქუჩა, ერთი კი გადაკოცნა დედა, ჩემოდანი დააგდო და როგორც იყო ისე საავადმყოფოში გაიქცა. ეცვა ჩვეულებრივად: ვიწრო ქვედატანი, მამაკაცის გრძელმკლავებიანი ხალათი, თავზე—კეპიანი ქუდი, ხელზე—მამაკაცის მაჯის საათი.

როცა კარი შეაღო და თავისი დაბრუნების აღსანიშნავად ქუდი ისროლა, მხოლოდ მაშინ შედგა და მიმოიხედა. ოთახში არავინ იყო გარდა ერთი უცნობი ახალგაზრდისა, რომელიც გაოცებული შეჰყურებდა ლილის და მაგრად ეჭირა ხელში მისი კეპიანი ქუდი.

ასე დაიწყო მათი ნაცნობობა. ის ვაჟიც თურმე ორდინატორად დაენიშნათ სამი თვის წინ. გიორგი ერქვა, უბრალოდ კი გიგლას ეძახდნენ.

ლილიმ პირველად მაშინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ქალი იყო.

და მოხდა ის, რასაც, საერთოდ, არავინ ელოდა.

ლილიმ უარი სთქვა გერმანიაში წასვლაზე (იქ მას ასპირანტურა უნდა დაემთავრებინა) და გიგლა ყუბანეიშვილს გაჰყვა ბათუმში, როგორც მეუღლე და კოლეგა.

ეს იყო 1934 წელს.

ამ დროს ბათუმში არ იყო ფსიქიატრიული საავადმყოფო. მათ გახსნეს საავადმყოფოცა და ფსიქონევროლოგიური დისპანსერიც. ჯერ მარტონი იყვნენ, მერე სხვებიც შემოუერთდნენ. ბევრს გულით უხაროდა ახალგაზრდების წარმატება.

მალე ახალი ოჯახის პირველი სიხარულიც მოვიდა—პატარა სალომე.

მერე ისევ თბილისი, ასპირანტურის დამთავრება და საკანდიდატო თემაზე მუშაობა.

საკანდიდატო თემა არ იყო უცბად ამორჩეული. შიზოფრენიის პრობლემა ისეთივე დიდი და მნიშვნელოვანი იყო, როგორც კიბოს პრობლემა მედიცინის სხვა დარგში. კითხულობდა საბჭოთა და უცხოელ მეცნიერების ნაშრომებს ამ საკითხზე. მაგრამ ყველაზე მეტი კლინიკურმა მუშაობამ მისცა, იმ ფაქტებისა და წვრილმანების გაანალიზებამ, რასაც თვით ავადმყოფი ავლენდა.

საჭირო იყო ამ ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზის აღმოჩენა, შემდეგ კი განკურნების საშუალებებიც გამოინახებოდა.

მალე ყველა მოწმე გახდა ქართველი მეცნიერი ქალის გამარჯვებისა.

1940 წლის დეკემბერში ლილი ნაკაშიძის დისერტაცია თემაზე — «ბოდვის თავისებურება შიზოფრენიის დროს»—ერთხმად აღიარეს ბრწყინვალე შრომად. ამით კიდევ ერთი სწორი აზრი მიემატა ამ პრობლემის ახსნას.

წარმატებამ მეტი ხალისი შეიტანა ლილის ცხოვრებაში. გადიოდა დრო. იზრდებოდნენ სალომე და ხათუნა, მათთან ერთად კი მომავლის იმედები.

მერე მოვიდა ომი და დაუკითხავად ჩაერია ყველას ცხოვრებაში... დამთავრდა ომი და ბევრს დაუტოვა სიკვდილი, კონტუზია, დასნეულებული სული...

დრო განკურნავდა ყველაფერ ამას, მაგრამ დროზე ადრე საჭირო იყო კარგი მკურნალი და ლილი ნაკაშიძემაც ამ პერიოდში მხოლოდ იმ საკითხებს მიაქცია ყურადღება, რაც საერთო მდგომარეობამ უკარნახა. მისი ნაშრომი «კონტუზიისა და ტრავმის შესახებ» მეტად დროული და საჭირო იყო.

მაგრამ არ წყდებოდა ფიქრი ერთ მეტად საინტერესო საკითხზე. ეს იყო ინვოლუციური ფსიქოზის პრობლემა. პირველად ამ ავადმყოფობას ეს სახელი უწოდა დიდმა გერმანელმა ფსიქიატრმა კრეპელინმა. მაგრამ მან ვერ შესძლო გამოეყო იგი, როგორც ცალკე დაავადება. ბევრი ფიქრობდა, რომ ინვოლუციური ფსიქოზი, რაკი მოხუცებულობის პერიოდში ემართებოდა ადამიანს, სიბერით იყო გამოწვეული. ზოგი საწინააღმდეგო აზრს ადგა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ჰიპოთეზები.

ამ პრობლემას ლილი მისთვის ჩვეული გამბედაობით შეეჭიდა.

ამისათვის კი ყველაზე რთული გზა აირჩია—კლინიკური დაკვირვების მეთოდი. ეს მოითხოვდა მკვლევარის დიდ გამოცდილებას და თვითეული ავადმყოფის გულმოდგინე შესწავლას მაშინ, როცა ამისათვის არსებობდა აუარებელი ლაბორატორიული საშუალება. მაგრამ ლილიმ იცოდა, რომ ის, რაც მედიცინის სხვა დარგს გამოადგებოდა, ფსიქიატრიაში არ იყო საკმარისი.

მან გულმოდგინე მუშაობის შემდეგ მდიდარი კლინიკური მასალა აგროვა. დაკვირვებას აწარმოებდა დაავადების განვითარების მთელ მანძილზე, სწავლობდა ავადმყოფობის ყველა თავისებურებას და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინვოლუციურ ფსიქოზს აქვს თავისი დამახასიათებელი მხარეები, მკაფიოდ გამოკვეთილი ფორმები და არ შეიძლება ის ავურიოთ სხვა დაავადებაში, ან რომელიმე დაავადების გაგრძელებად ჩავთვალოთ.

ეს იყო ახალი სიტყვა ინვოლუციური ფსიქოზის განვითარების შესწავლაში. საერთოდ კი, მკვლევარის მიერ მიღებულ შედეგებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზოგადი ფსიქიატრიის სხვა პრობლემებისათვისაც, პირველ რიგში, შიზოფრენიის პრობლემებისათვის, რაც მაინც რჩებოდა ლილისათვის ყველაზე დიდი ინტერესის საგნად.

1958 წელს ლილი ნაკაშიძე ერთდროულად გახდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და ბებია.

ახლა 51 წლისაა. თმას ბევრი ჭაღარა შეერია, გულს—ჯერ არცერთი. ისევ ხალისი და ენერგია ახლავს, ისევ სიყვარულით და მონდომებით მუშაობს.

ახალი მეცნიერება ჩამოყალიბდა—გერონტოლოგია (მეცნიერება ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების შესახებ). საქართველოში ამ დარგს ლილი ნაკაშიძე ხელმძღვანელობს.

* * *

ყველაზე მეტი სითბო და სიმხიარულე ოჯახში შვილიშვილს შეაქვს, პატარა ჯემალს. მის ალერსში ავიწყდება ლილის მთელი დღის დაძაბული მუშაობით გამოწვეული დაღლა.

ღამით კი, როცა ყველაფერი მიწყნარდება, როცა ჯემალიც იძინებს და ოჯახის დიასახლისი თავის საქმეს მორჩება, პატარა ოთახში სინათლე ინთება.

ოთახში საწერი მაგიდა და ორი სავარძელი დგას. წიგნებით სავსე თაროები ჭერამდეა აზიდული. მაგიდაზე აწყვია ხელნაწერი ფურცლები. მაგიდის შუაში დგას პატარა საათი, საათზე დათვი გადაწოლილა და თვლემს...

**ლილი ხახმიგერაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯუნგლების ქალიშვილი



მხატვარი გ. კასრაძე

ჩვენი გემი სინგაპურში რომ შევიდა, მზის უკანასკნელი სხივები ჯერ კიდევ ანათებდნენ ცაში გაფანტულ ღრუბლების ქულებს.

ნავსადგურში შესვლისთანავე გვეწვივნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები: ნავსადგურის აგენტი, ექიმი, პოლიციელები. მათ დაათვალიერეს გემი, შეამოწმეს ეკიპაჟის ჯანმრთელობა და დაგვრთეს ნაპირზე გადასვლის ნება. მეორე დილით, რასაკვირველია, სიამოვნებით შევუდექით მალაის დედაქალაქის — სინგაპურის დათვალიერებას.

პირველი დილა სინგაპურში საშინელი სიცხით შეგვეგება. რამდენიმე ნაბიჯიც არ გვქონდა გადადგმული, რომ მოგვესმა ხრინწიანი ხმა მიკროფონიდან, რომელიც აცხადებდა: «ნახეთ მალაის ტარზანი»! «ნახეთ გველთან ბრძოლა!» «ნახეთ მეკა. ჯუნგლების ქალიშვილი მახრჩობელა გველთან!»

გადავწყვიტეთ დავსწრებოდით ამ უკანასკნელ სანახაობას. გადავიხადეთ თითო სინგაპურული დოლარი და შევედით ფართო დარბაზში. ჩვენი ყურადღება მიიპყრო უზარმაზარმა გალიამ, რომლის შუაგულში იდო ჭრელი ქსოვილისაგან შეკერილი დიდი ლეიბი. ლეიბზე ვეებერთელა, ათმეტრიანი გველი იწვა. გალიის კართან, ჩვეულებრივ ტახტზე წამოწოლილიყო თვალწარმტაცი სილამაზის ასული.

14 წელია, თურმე, რაც ამ მალაელი ქალიშვილის უჩვეულო წარმოდგენები მნახველთა განცვიფრებას იწვევს, მისი და მახრჩობელა გველის მეგობრობა უდიდეს სენსაციას წარმოადგენს...

აი რა გვიამბეს ამის შესახებ:

3 წლის იყო თურმე გოგონა, მშობლებმა გამდიდრების მანიით შეპყრობილ კაცს რომ მიჰყიდეს. ამ კაცს მახრჩობელა გველი ჰყავდა და ცდილობდა იგი შემოსავლის წყაროდ გაეხადა. საამისოდ არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. ღარიბი მალაელებისაგან ჩალისფასად იძენდა პატარა ბავშვებს და გველის გალიაში შეუშვებდა ხოლმე. ვარაუდობდა, იქნებ გველმა «კაცთმოყვარეობა» გამოიჩინოს, ბავშვს არაფერიავნოს, შემდეგ ამ სანახაობას ხალხს ვუჩვენებ და გავმდიდრდებიო. დიდხანს არ გაუმართლა ამ ექსპერიმენტებმა. მრავალი საბრალო ბავშვის სიცოცხლე შეიწირა მხოლოდ. შემდეგ გამოჩნდა პატარა მეკა და ბოლო მოეღო უმწეო ბავშვთა ხოცვას...

აი როგორ მოხდა ეს:

...გველს შია (ამ დროს იგი უფრო საშინელია, მაღლა სწევს თავის უშნო, ბრტყელ თავს და საზარლად აბრიალებს ამობერილ თვალებს), საჭმელს ელის. გალიაში სამი წლის მალაელი გოგონა მეკა შეუშვეს. მან არ იცის რა არის შიში. წინ გაიწოდა ხელები და გაბედულად გაემართა ქვეწარმავლისკენ. მაგრამ უცებ ფეხი გამოსდო მის კუდს, წაიქცა და ტირილი დაიწყო. რამდენჯერმე სცადა პატარა ხელებით დაყრნობოდა გველის ტანს და ამდგარიყო, მაგრამ ხელები უცურდებოდა და ისევ ეცემოდა.

გველი განცვიფრებული შეჰყურებდა პატარას. ამ დროს პატრონმა საჭმელი შეუგდო გალიაში. ქვეწარმავალმა არც კი მიაქცია ყურადღება, თავი დაღუნა, ბავშვს მკერდქვეშ ამოუდო და ფეხზე დააყენა. გოგონა კმაყოფილი დარჩა ასეთი ყურადღებით, ხტუნვა-ხტუნვით

მიუახლოვდა გველს და პაწაწინა ხელებით მოეფერა მის ბრტყელ, სრიალა თავს. სწორედ ამ დროს მეკას დაუძახეს და უთხრეს გველისათვის მიეცა საჭმელი. მეკამ ეს დავალება სიხარულით და მთელი ბავშური გულუბრყვილობით შეასრულა. აქედან დაიწყო გოგონას მეგობრობა მახრჩობელა გველთან. იგი აძლევდა საჭმელს გველს, მიჰქონდა მისთვის წყალი, ბანდა და ეთამაშებოდა. საღამოს კი ჩაეხუტებოდა და დაიძინებდა. გველიც ნაზად შემოხვევდა ტანს ბავშვის სხეულს, თითქოს სურდა თავისი სითბოთი, რომელიც არ გააჩნდა, გაეთბო პატარა მეგობარი.

ათი წლის რომ შესრულდა მეკა, დასაძინებლად ტახტი გაუკეთეს, რამაც ძალზე ააღელვა გველი და რამდენიმე ტახტი დაამტვრია კიდეც. ბოლოს პატრონმა ძალზე მაგარი ტახტი გააკეთებინა და გველის ლეიბის გვერდით დადგა. გველმა რომ ტახტს ვერაფერი მოუხერხა, კუდით შემოეხვია მის ფეხებს და უფრო ახლოს მისწია თავისკენ. ასე მას შეეძლო ხან თავით, ხან კუდით მიალერსებოდა მძინარე გოგონას.

14 წლის რომ შესრულდა მეკა, გალიიდან მისი გასვლა აუცილებელი გახდა, და როცა გამოვიდა, გველი კინაღამ გაცოფდა—ურტყამდა იატაკს კუდს, ეხეთქებოდა გალიის კედლებს და, მიუხედავად ტახტის სიმაგრისა, სულმთლად დალეწა იგი. მერე დაიწყო რკინების გაღუნვა და ყოველნაირად ცდილობდა გალიიდან გამოსვლას. პატრონს შეეშინდა, რომ გველს და, რაც მთავარია, მის ჯიბეს არაფერი დაშავებოდა და უმალ დააბრუნა მეკა გალიაში. გველი გახარებული შემოეხვია მის ტანს. ვერცერთი მამაკაცი, ალბათ, ვერ მიუალერსებდა საყვარელ ქალს ისე ნაზად, როგორც ამას ეს საშინელი ქვეწარმავალი აკეთებდა...

მაგრამ გალიიდან ხანდახან გასვლა მაინც აუცილებელი იყო მეკასთვის. პატრონი თავს იტეხდა, თუ როგორ გადაელახა ეს სიძნელე.

და აი, ერთხელ სცადეს: მეკამ, ჩვეულებისამებრ მიალაგა გალია, მაგრამ ვედრო კართან კი არ დადგა, როგორც ამას წინათ აკეთებდა, არამედ გააღო კარი და თვითონ გაიტანა. გველი იმ წამსვე მისრიალდა კართან, მაგრამ მეკამ გადაღვარა თუ არა ვედრო, მყისვე დაბრუნდა უკან, გალიაში. დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტხანს რჩებოდა მეკა გალიის გარეთ. ორი წლის მანძილზე გველი შეეჩვია იმას, რომ მეკა მას დღეში ერთი ან ორი საათით ტოვებდა მარტო.

გაზეთები, რეკლამები, რადიო ყოველდღე გადმოსცემდნენ სენსაციას:

«მახრჩობელა გველისა და ქალიშვილის სიყვარული...»

«მხოლოდ ორი საათით შეუძლია დატოვოს გოგონამ ათმეტრიანი მახრჩობელა გველი. მხოლოდ ორი საათით! თუ დაიგვიანა, გველი გალიას ამტვრევს!»

იყო შემთხვევები—მდიდარი ხალხი იხდიდა დიდძალ ფულს, ოღონდ მეკა ორ საათზე მეტხანს დარჩენილიყო გარეთ, რომ თავისი თვალით ენახათ თუ როგორ ცოფდებოდა გველი, იწყებდა საშინელ წრიალს და გარშემო ყველას და ყველაფერს ანადგურებდა.

ახლა მეკა 17 წლის ლამაზი და ნაზი ქალიშვილია. მისი გარეგნობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. მეკამ გარდა ლაპარაკისა, არაფერი იცის, ან და რა საჭიროა მისთვის სწავლა, როდესაც მთელი თავისი სილამაზე და ახალგაზრდობა მახრჩობელა გველს, უფრო სწორად კი, მისი პატრონის ჯიბეს უნდა შესწიროს! სწორედ მეკას სილამაზე და სინაზე ახდენდა დიდ სენსაციას, ამდიდრებდა მის პატრონს, რომელიც ცოცხალი თავით არავის დაუთმობდა ამ განძს. მაგრამ ხალხი მას მაინც კიცხავდა და პატრონმა გადაწყვიტა მეკას გათხოვება. არ გეგონოთ, რომ მას აწუხებდა მეკას ბედ-იღბალი. არა! ის მხოლოდ შორს ჭვრეტდა და ხედავდა; დადგებოდა დღე, როცა მეკას ლამაზ თვალებში ჩაქრებოდა ახალგაზრდული ცეცხლი და ხავერდივით ნაზ სახეს ნაოჭები დაფარავდა. საჭირო იყო ახალი კანდიდატურის მომზადება ამ დროისათვის, ამისთვის კი ყველაზე უფრო მეკას შვილი გამოდგებოდა...

და აი, უკვე ოთხი წელია ყველა ელოდება ამ ბავშვს, ის კი არა ჩანს. პატრონი აღშფოთებულია ამ ამბავით, მეკას და მის ქმარს კი უხარიათ:—მათ კარგად იციან—რა მომავალი ექნებოდა მათ შვილს გულქვა პატრონის წყალობით...

და აი, ჩვენც დავესწარით ამ საოცარ სანახაობას. მეკა წამოდგა თავისი საწოლიდან და მოკრძალებით მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. იგივე გაიმეორა გველმაც, რომელიც წინ მოიწევდა და ზევით და ქვევით აქნევდა საზარელ თავს, წინ აგდებდა თავის ვიწრო, საშინელ ენას. ასე შემოუარა გარშემო გალიას, გააკეთა წრე და ისევ ლეიბზე დაწვა. მეკამ მოიშორა ტანისამოსი და საცურაო კოსტუმში წარსდგა მაყურებლის წინაშე. ის მთელი ტანით დააწვა გველს, რომელიც ნელ-ნელა ეხვეოდა ქალს და სულ ზევით-ზევით, სახისკენ მიიწევდა. ბოლოს მთლიანად შემოეხვია მეკას და თავისი საშინელი ენით ალოკა ქალის მომღიმარე ლამაზი სახე.

შემდეგ გველმა გაანთავისუფლა მეკა, ასწია კუდი და თავისივე ტანს შემოეხვია. გაკეთდა წრე, რომელშიც მეკა სრულიად თავისუფლად შედიოდა და გამოდიოდა. მერე ცეკვავდა და გველს ყოველი მხრიდან ახტებოდა. ბოლოს დაუწყო ალერსი და კოცნა. საშინელი სანახაობა იყო. ბევრმა ვერ გაუძლო მას და გასცილდა იქაურობას. ჩვენც გავედით დარბაზიდან, მაგრამ დაგვანახვეს მეორე გულსაკლავი სურათი — მეკას ქმარი, რომელიც მოთმინებით ელოდა თავის მეუღლეს, თვალცრემლიანი იდგა და გარშემო ვერავის ამჩნევდა, მხოლოდ თავის მეკას ხედავდა და ფიქრობდა, ალბათ, ცხოვრების უკუღმართობაზე...

ჩვენ გვინდოდა რაც შეიძლება მალე გავცლოდით ამ ადგილს და დაგვევიწყებინა, რაც ვნახეთ. მაგრამ ის სამუდამოდ ჩაგვრჩა მაინც მეხსიერებაში.

მივდიოდით ჩუმად, ხმაამოუღებლივ და ყველას ფიქრი ერთსადაიმავეს დასტრიალებდა...

უკვე საკმაოდ შორს ვიყავით, მაგრამ კვლავ ჩაგვესმოდა ხრინწიანი ხმა:

«ნახეთ მახრჩობელა გველისა და ქალიშვილის სიყვარული'»

«ნახეთ მალაის ტარზანი!»

«მეკა—ჯუნგლების ქალიშვილი მახრჩობელა გველთან!«

კაპიტანი **ვახტანგ ბარათაშვილი**,

შორმსცურავი გემების ფლაგმანი



## ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარი

ამას წინათ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გააცილა მახარაძის რაიონის კულტურის მუშაკებმა ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკ,რი თამარ ვარლამის ასული ბოლქვაძე.

ახლა იგი პენსიონერია და ისვენებს, მაგრამ შრომას ჩვეული, წიგნის სიყვარულით გატაცებული ¿ვლავ თავის აღზრდილებთანაა, ხშირად მოდის იგი ჩვენთან, სარაიონო ბიბლიოთეკაში და გვასწავლის, გვიზიარებს თავის დიდ გამოცდილებას, რომელიც მან მეოთხედი საუკუნის მანძილზე დააგროვა.

გვჯერა, რომ თამარი კიდევ ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებს და მზრუნველობას არ მოაკლებს თავის აღზრდილებს.

**ციალა მენაბდე.**
ქ. მახარაძე.

## ჩვენ გვწერენ

## ალექსანდრა კვერნაძე

ალექსანდრა წარმოშობით უკრაინელია. მისი ქალიშვილობის გვარია ჩეხუნი, მაგრამ სოფელში მას თავისი მეუღლის—გედევან კვერნაძ.ს გვარით იცნობენ.

1937 წლიდან თავდადებულად შრომობს ალექსანდრა მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში და ყოველ ახალ წელს ახალ-ახალი გამარჯვებებით ეგებება—ყოველწლიურად ადიდებს ძროხების წველადობას.

1958 წელს 11 ძროხაზე 24 ტონა და 596 კილოგრამი რძე მიიღო. ამ წარმატებისათვის მას «საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარჩინებული მწველავის" წოდება მიენიჭა, უკეთესად მუშაობდა შემდეგ და გასულ წელს უკვე 28 ტონა და 765 კილოგრამი რძე მიიღო.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ თათბირზე მან ვალდებულება იკისრა მიმდინარე წელს თვითეულ ძროხას ჩამოწველოს სამი ათასი კილოგრამი რძე. «შეიძლება უფრო მეტიც!» —განაცხადა მან და წარმატებითაც შეასრულა ნახევარი წლის გეგმა—თვითეული ძროხიდან უკვე მიიღო 2.000 კილოგრამი რძე.

ალექსანდრას მეუღლეც და შვილებიც მოწინავე მეცხოველეები არიან.

**ნ. გიორგაძე.**
წყალტუბოს რაიონი.

## შრომისმოყვარე ქალიშვილი

ყველა იცნობს სოფელ ქოლობანში სულიკო შენგელიას, შრომისმოყვარე ოჯახის შვილს. მამა დიდ სამამულო ომში დაიღუპა. ოთხი შვილი დარჩა მას და ოთხივე, მათ შორის სულიკოც, კოლმეურნეობაში მუშაობდა. შემდეგ სულიკომ აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა და ისევ ქოლობნის კოლმეურნეობას დაუბრუნდა. ჯერ სასათბურო მეურნეობაში მუშაობდა აგროტექნიკოსად. მუყაითმა, თავდაბალმა და ენერგიულმა გოგონამ ყველას ყურადღება მიიქცია.

ახლა სულიკო ბრიგადირია. მისმა ბრიგადამ მაღალხარისხოვნად ჩაატარა სიმინდის თესვა 65 ჰექტარზე და მათი დამუშავებაც პირველმა დაამთავრა კოლმეურნეობაში.

— გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად 30 ცენტნერი მარცვალი უნდა მივიღოთ ჰექტარზე, — ასეთია სულიკოს ბრიგადის წევრთა გადაწყვეტილება. პირადად სულიკომ ვალდებულება იკისრა 1 ჰექტარ დაბალმოსავლიან ნაკვეთზე, რომელსაც თვითონ უვლის, 40 ცენტნერი სიმინდი მიიღოს, გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერის ნაცვლად.

იციან სოფლელებმა, რომ ქალიშვილი თავის პირობას უთუოდ შეასრულებს, რადგან მისი სიტყვა არასოდეს არ ცილდება საქმეს.

**გ. გვაზავა**





# ჭრა-კერვის დაუსწრებელი სწავლება

## გაკვეთილი მეხუთე

### გოგონას კაბა კოკეტკით

(7—10 წლამდე ასაკისათვის)

თარგის შედგენის წესი (ნახ. № 12)

ამ თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. გულმკერდის წრეხაზი—70 სანტიმეტრი
2. კისრის წრეხაზი—30 სანტიმეტრი
3. ბეჭების სიგანე—28 სანტიმეტრი
4. გულმკერდის სიგანე—26 სანტიმეტრი
5. მხრის სიგანე—12 სანტიმეტრი
6. წელის სიგრძე—29 სანტიმეტრი
7. კაბის სიგრძე—58 სანტიმეტრი

კაბის უკანა ნახევრის თარგის შესადგენად ბეჭების სიგანეს ვყოფთ მუდმივად ორზე:

$$28:2=14$$

მიღებულ 14—ს გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ. ა—წერტილიდან ჩამოვზომავთ აგრეთვე კაბის სიგრძეს—58 სანტიმეტრს.

წელის სიგრძეს მუდმივად ვყოფთ 2-ზე:

$$29:2=14,5$$

მიღებულ რიცხვს 14,5-ს ჩამოვზომავთ ა-წერტილიდან და გავავლებთ იღლიის ხაზს. კისრის წრეხაზს გავყოფთ მუდმივად 6-ზე:

$$30:6=5$$

მიღებულ რიცხვს 5-ს გადავზომათ ა-წერტილიდან მარჯვნივ.

წერტილ 5-დან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს.

წერტილ 1-ს ვაერთებთ ა-წერტილთან მრუდი ხაზით. მხრის ხაზის დასადგენად ზედა 11-დან ჩამოვზომავთ 3-სანტიმეტრს. ქვედა 11-დან ზევით ავზომავთ 5-სანტიმეტრს, ხოლო მარჯვნივ გადავზომავთ 3 სანტიმეტრს. აღნიშნულ წერტილებს ვაერთებთ მრუდი ხაზით.

კოკეტკისათვის წერტილ 5-ს ვაერთებთ წერტილ 14,5-თან მრუდი ხაზით.

კაბის სისრულისათვის წერტილ 17-დან მარჯვნივ გადავზომავთ 8 სანტიმეტრს. წერტილ 8-დან ზევით ავზომავთ 2 სანტიმეტრს, წერტილებს 2- ს და 3-ს შევაერთებთ სახაზავით.

კაბის წინა ნახევრის თარგის შესადგენად გულმკერდის სიგანეს მუდმივად ვყოფთ ორზე:

$$26:2=13$$

მიღებულ 13-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარცხნივ, წერტილ ა-დან ჩამოვზომავთ კაბის სიგრძეს—58 სანტიმეტრს და წელის სიგრძის ნახევარს—14,5 სანტიმეტრს.

კაბის წინა ნაწილისათვის გულმკერდის წრეხაზს გავყოფთ მუდმივად ორზე, მიღებულ რიცხვს ვამატებთ 3 სანტიმეტრს, ვაკლებთ უკანა მხარის ზომას—17 სანტიმეტრს:

$$70:2=35$$

$$35+3=38$$

$$38-17=21$$

მიღებულ 21-ს გადავზომავთ წერტილ 14,5-დან მარცხნივ. გავავლებთ იღლიის დასადგენ ხაზს. საყელოსათვის წერტილ ა-დან ჩამოვზომავთ ქვევით და გადავზომავთ მარცხნივ 5-5 სანტიმეტრს. მარცხენა წერტილ 5-დან ზევით ავზომავთ 1,5 სანტიმეტრს და აღნიშნულ წერტილს ვაერთებთ 5-წერტილთან მრუდი ხაზით.

წერტილ 13-დან მხრის ხაზის მისაღებად ჩამოვზომავთ 2,5 სანტიმეტრს. ქვედა 13-წერტილიდან ზევით ავზომავთ 5 სანტიმეტრს. აღნიშნულ წერტილებს 3-ს და 5-ს ვაერთებთ 21 წერტილთან მრუდი ხაზით. კაბის სისრულისათვის წერტილ 21-დან მარცხნივ გადავზომავთ 8 სანტიმეტრს. წერტილ 8-დან ზევით ავზომავთ 2 სანტიმეტრს და ვაერთებთ წერტილ 21-თან სახაზავით. კოკეტკისათვის 5-წერტილს ვაერთებთ 14,5-წერტილთან მრუდიხაზით.

ციფრები 2,6,3,5,2,5,8,1,5 მუდმივებია და გამოიყენება სხვა ზომის კაბის თარგების შესადგენადაც.

### გოგონას კოკეტკიანი კაბის გამოჭრის და შეკერვის წესი

კაბის წინა და უკანა ნახევრისათვის საჭირო ქსოვილს ვკეცავთ ორად. კოკეტკის ნაწილი იჭრება ცალკე. ასევე ცალკე იჭრება კაბის ნაწილი კოკეტკის ქვევით. ქსოვილი აქაც ორად და ირიბად იკეცება.

სიგრძის ხაზები კოკეტკის წერტილებიდან 5 და ა-დან წერტილ 14,5-მდე გაუჭრელია. ასევე გაუჭრელია კოკეტკის ქვედა ნაწილი კაბის 14,5-დან 58 წერტილამდე. გამოჭრის დროს გვერდებში ნაკერისათვის ვუმატებთ 1 სანტიმეტრს, იღლიის და საყელოს წერტილებში—2 სანტიმეტრს, ქობის შემოსაკეცად—4 სანტიმეტრს.

კაბის ქვედა ნაწილი, სურვილისამებრ, კომბინირებულ ქსოვილისაგან შეიძლება შეიკეროს. ცალკენაჭრის გამოჭრის დროს დაიცავით ნახაზში აღნიშნული ზომები სანტიმეტრებში 4—4—5—5 და ასე შემდეგ. სახელო შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი, როგორც № 13 და № 15 ნახაზებშია მოცემული. კაბის ქვედა და ზედა ნაწილი იკერება ცალცალკე, შემდეგ ხდება შეერთება.

ავტორი **ტატიანა გურგენიძე**

კონსულტანტი **ივანე ტაბიძე**



ნახ. 14

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მწნილები

## მწვანე პამიდვრის მწნილი

**პირველი ვარიანტი**

დაჭერით წვრილად 200 გრ მწვანილი (ნიახური, ოხრახუში, რეჰანი, ქონდარი და კამა), 50 გრ ნიორი, გემოვნების მიხედვით—წიწაკა. დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი მარილი და ერთმანეთში აურიეთ.

1 კგ გადარჩეული, გარეცხილი საღი მწვანე პამიდორი სათითაოდ გაჭერით სიგანით ისე, რომ ერთმანეთს არ მოაცილოთ. შიგ მოათავსეთ ზემოაღნიშნული გამზადებული მასალა, შემდეგ მწყობრად ჩააწყვეთ ქილაში მჭიდროდ: როცა ქილა აივსება, ზემოდან მოათავსეთ 50 გრ გამხმარი კამა, დაადეთ ხის მრგვალი ნაჭერი, სუფთა ბრტყელი ქვა და მოუკარით მჭიდროდ თავი.





## მწვანე წიწაკის მწნილი

**(გათუთქული)**

1 კგ მწვანე წიწაკა გარეცხეთ, თვითეული ჩაჭერით ერთი მხრიდან, თესლი გამოაცალეთ, ჩაყარეთ შესაფერ ჭურჭელში, დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ შიგ 5 წუთს. შემდეგ გადაიტანეთ ცივ წყალში, გარეცხეთ, ისევ მდუღარე წყალში ჩაყარეთ, 5 წუთს გააჩერეთ, შემდეგ ცივ წყალში მოათავსეთ და შეგრილდება თუ არა, თუშფალანგაზე გადაიტანეთ, რომ წყლიდან დაიწრიტოს.

აადუღეთ წყალი, ჩაყარეთ მარილი (იმდენი რომ ხსნარი საკმაოდ მლაშე იყოს), მოათავსეთ შიგ 200 გრ ნიახური, ერთი თავი ნიორი, 150 გრ კამა, 1 ცალი დაფნის ფოთოლი და წამოადუღეთ. გათუთქული ნიახური, ნიორი და დაფნის ფოთოლი თუშფალანგაზე გადაიტანეთ და გააციეთ. კამა კი გადააგდეთ.

ქილაში ჩააწყვეთ წიწაკა, დაასხით გაცივებული ხსნარი (იმდენი, რომ შიგთავსი კარგად დაფაროს), ზემოდან დაადეთ გათუთქული, გაციებული ნიახური, ნიორი, დაფნის ფოთოლი, სუფთა ბრტყელი ქვა და მჭიდროდ მოუკარით თავი. როცა წიწაკა დამწნილდება, მისი ქილიდან ამოღებისას ქილას ყოველთვის სწრაფად უნდა მოუკრათ თავი, რათა შიგ ჰაერი არ შევიდეს.

## მწვანე პამიდვრის მწნილი

**მეორე ვარიანტი**

გადარჩეული, გარეცხილი, საშუალო ზომის 1 კგ მწვანე პამიდორი გარეცხეთ ცივი წყლით და ცხრილზე გადაიტანეთ.

3 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში მოათავსეთ 200 გრ ნიახური. 150 გრ ოხრახუში, გათუთქვასთანავე ამოიღეთ, გადაიტანეთ ცხრილზე და გააციეთ. იმავე მდუღარე წყალში ჩაყარეთ 1 სუფრის კოვზი მარილი, ადუღეთ და გააციეთ.

გამზადებული მწვანე პამიდორი მჭიდროდ, ჩააწყვეთ ქილაში, თან ჩაატანეთ გათუთქული შეგრილებული ნიახური და ოხრახუში, აგრეთვე 50 გრ კამა, 50 გრ დაჩეჩქვილი ნიორი, 1 ცალი დაფნის ფოთოლი და წიწაკა (გემოვნების მიხედვით). მჭიდროდ გავსებულ ქილას დაასხით გაცივებული მარილწყალი (იმდენი, რომ კარგად დაფაროს), დაადეთ ზედ 100 გრ გამხმარი კამა, ხის რგოლი, ბრტყელი ქვა და ქილას მაგრად მოუკარით თავი.



## მწვანე წიწაკის მწნილი

**(გაუთუთქავი)**

გარეცხეთ 1 კგ მწვანე წიწაკა, შემდეგ თვითეული რამდენიმე ადგილას ხის ჩხირით ჩაჩხვლიტეთ.

ქილის ფსკერზე დააწყვეთ 100 გრ ალუბლის ხის ტოტები, 100 გრ კამა, მოაყარეთ მარილი. შემდეგ შიგ ფენა-ფენად ჩააწყვეთ გამზადებული წიწაკა და ყოველ ფენას მოაყარეთ მარილი. როცა ქილა წიწაკით შეივსება, მოათავსეთ ზედ 100 გრ კამა, ზემოდან დაადეთ ხის რგოლი, ბრტყელი ქვა, მოუკარით ქილას თავი და ასეთ მდგომარეობაში გააჩერეთ, სანამ სითხე არ გამოიყოფა. ეს სითხე მთლიანად გადაწურეთ. შემდეგ წიწაკას დაასხით მოდუღებული და გაციებული მარილწყალი, მოუკარით ქილას თავი და შეინახეთ.

**თამარ ხულაძველიძე**

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე
«იავნანამ რა ჰქმნა».
მხატვარი ლ. შენგელია

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IX-60 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75, პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 1503 უე 03968

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали".
Издательство ЦК КП Грузии.

# ჩეხური მოდები















ფოტო შ. გოქაძის



b.69/259